სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 10 ივნისი 2008 №131 (3355) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობდეთ: რაინერ ციობელი!

დინამოში ახალი დრო იწყება

ვინ არის საქართველოს 13-გზის ჩემპიონის ახალი მთავარი მწვრთნელი? კაცი, რომელიც წინა საუკუნის 70-იანი წლების ლეგენდარული „ბაიერნის“ ფეხბურთელი იყო, ორჯერ ითამაშა ჩემპიონთა თასის ფინალში და ორივეჯერ თასი აღმართა!

ალამი, ალამი, ალამი ჩქარა! ფორცა ჰოლანდია!

ჯანლუიჯი ბუფონთან შეჯახებისას მოედნიდან გადავარდნილი კრისტიან პანუჩი და გოლი, რომელიც რუუდ ვან ნისტელროიმ აშკარა თამაშგარედან გაიტანა

განმარტება: იყო თუ არა თამაშგარე?

პირველი გოლისას რუუდ ვან ნისტელროი თამაშგარეში იყო თუ არა? გულშემატკივართა შორის აზრი გაიყო და ამდენად, საჭიროდ ჩავთვალეთ, ფიფას წესებში ჩაგვეხედა.

ვან ნისტელროი აშკარა თამაშგარეში კი იმყოფებოდა, მაგრამ ერთ-ერთი იტალიელი მცველი პირით ხაზს მიღმა იყო და დავაც ამან გამოიწვია — უნდა ჩათვლილიყო თუ არა მოედანს მიღმა მყოფი იტალიელი ეპიზოდის მონაწილედ.

წესი გვამცნობს, რომ თუ ასეთ სიტუაციაში მცველი მოედნიდან შეგნებულად გადის, მსაჯი თამაშგარეს არ აფიქსირებს, ხოლო იერიშის დასრულების მერე მცველს არასპორტული საქციელისთვის აფრთხილებს. მაგრამ თუ მცველი მოედნიდან შეგნებულად არ გასულა, თავდამსხმელზე ოფსაიდი ფიქსირდება.

ასე რომ, პირველი გოლისას ვან ნისტელროი აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თქვი, როდის დაიბადე!

ქართველები კალათბურთს კარგად თამაშობენ, მაგრამ...



პასპორტი საბუთად არ გამოდგება

ვერ გეტყვით, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა, ჩვენთან კი ბავშვმაც იცის: ხშირად მიზნის მიღწევა დაბადების თარიღის გადაკეთებით იწყება. ამიტომაც არის — შეხედავ, კაცია, არადა, პასპორტით ბავშვია... ჰოდა, დრაფტზე აყვანის მოსურნე ქართველ კალათბურთელებს, ამ საქმეში ჭიპმოჭრილებმა რომ შეხედეს, მაშინვე ჰკითხეს, კარგები ხართ, მაგრამ რამდენი წლისა ხართ?!



კანდელაკი: ორი წლით არნოლდ შვარცენეგერზე

ილია კანდელაკმა გრაცის „შტურმთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ქართველი მცველ-ნახევარმცველი გიორგი შაშიაშვილთან ერთად ითამაშებს „არნოლდ შვარცენეგერზე“ და ეს წინგადადგმული ნაბიჯია მის კარიერაში — სად გერმანიის მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერი „კარლ ცაისი“ და სად „შტურმი“.

ილია რამდენიმე დღის წინ ჩავიდა გრაცში და, შესაძლოა, ეს კლუბის ბოლო ქართული შენაძენი სულაც არ იყოს — „შტურმი“ ლადო ბურდულთანაც მართავს მოლაპარაკებებს.

კანდელაკმა წინა სეზონი ჩაატარა „კარლ ცაისში“, სადაც შემტევ ნახევარმცველადაც კი ათამაშებდნენ, მანამდე კი ოდესის „ჩერნომორეცში“ გახლდათ.

ილია ნანოგაშვილი



აქედან დაიწყო ჩეხიც და ნედვედიც

დიმიტრი ტატანაშვილის პლზენური შთაბეჭდილებები

ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დიმიტრი ტატანაშვილი რომ იყო, მგონი, საკამათო არ არის. „ამერის“ მთავარმეგოლემ მე-19 ეროვნულ ჩემპიონატში 13 გოლი გაიტანა და ბომბარდირ მიხეილ ხუციშვილს ცოტათი ჩამორჩა. „სარბიელის“ საუკეთესო ფეხბურთელის ტრადიციულ გამოკითხვაში კი ტატანაშვილს მესამეობა ერგო. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ ტატანაშვილმა ჩეხურ „პლზენთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. დიმა რამდენიმე დღით დაბრუნდა თბილისში და ჩვენც მაშინ გავესაუბრეთ...

— ძალიან თბილი დახვედრა მომიწყვეს. ასეთს ნაღდად არ ველოდი. პირველ რიგში, ქალაქი დამთვალიერებინეს, კოხტა ქალაქია. შემდეგ სტადიონიც ვინახულე.

— მეორე დღეს შენი პრეზენტაცია იყო...

— საკმაოდ ბევრი ჟურნალისტი დაესწრო და ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

— სამწლიანი კონტრაქტი გააფორმე. უკვე მოგცეს სახლი?

— რომ ჩავალ, ბინასაც მომცემენ და მანქანასაც. „პლზენის“ სპონსორი „შკოდაა“ და ამ ფირმის მანქანას მომცემენ.

— სათამაშო ნომერი ხომ არ აგირჩევია?

— 18 და 9 ნომერს შორის უნდა ავირჩიო. ალბათ, ცხრა ნომერს დავიტოვებ.

— როგორც ვიცით, ჩეხური ენის მასწავლებლთანაც უნდა იარო...

— ასეა. რომ ჩავალ, ჩეხურის და ინგლისურის სწავლა უნდა დავიწყო.

— ძირითადი გუნდი შვებულებაში დაგხვდა და დუბლებთან ერთად ივარჯიშე. რა შთაბეჭდილება შეგექმნა?

— სწორ ფეხბურთს თამაშობენ, ბევრს მოძრაობენ და ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულები. ამ ვარჯიშზე ორკარა გვათამაშეს და ჩემმა გუნდმა 3:2 მოიგო. ორი გოლი შევაგდე და ერთი საგოლე პასიც გავაკეთე.

— „პლზენის“ მთავარ მწვრთნელ სტანისლავ ლევს თუ შეხვდი?

— არა, ივი ჩეხეთის ნაკრებთან ერთადაა ევროპის ჩემპიონატზე, კარლ ბრიუკნერის ერთ-ერთი თანაშემწეა.

— ალბათ, „პლზენში“ სამი წელიწადი არ გაჩერდები....

— ყველაფერი ჩემს თამაშზეა დამოკიდებული. „პლზენი“ ტრამპლინისთვის უნდა გამოვიყენო. იქიდან ყოველ წელიწადს კარგ კლუბებში გადადიან და იმედი მაქვს, მეც მოვახერხებ ამას. სხვათა შორის, პაველ ნედვედმა და პეტრ ჩეხმა კარიერა „პლზენში“ დაიწყეს. იქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იფიქრო. მე კი ჩეხეთში ფეხბურთის სათამაშოდ წავედი და თავი არ უნდა დავზოგო.

— გუნდში რამდენი ლეგიონერი ჰყავთ?

— ბრაზილიელი, ფრანგი, უნგრელი და მეოთხე მე ვარ.

— ჩეხეთში როდის ბრუნდები?

— 16 ივნისს. მე და ბრაზილიელი თავდამსხმელი ერთი კვირა ინდივიდუალურად უნდა გვავარჯიშონ, 23-ში კი გუნდიც დაიწყებს ვარჯიშს. 15 ივლისს ავსტრიაშია დაგეგმილი შეკრება, სადაც ოთხ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ.

— პლზენს ლუდის ქალაქად იცნობენ და იქაური ლუდი არ გასინჯე?

— ბევრს მეხვეწნენ კლუბის ხელმძღვანელები, მაგრამ მომერიდა. მოგებული თამაშების შემდეგ მაგის დროც მოვა.

ნუკრი ლოლაძე

შალკემ ლევან ყენია კოლხიდას დაუთმო

ქართული ფეხბურთის ახალი სახე

მედიაკომპანია „კოლხიდამ“ და ლევან ყენიამ გუშინ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელის ყველა საიმიჯო უფლება საქართველოში სწორედ „კოლხიდამ“ მიიღო.

„კოლხიდა“, მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ტელეუფლებების მფლობელი კომპანიაა, ხოლო ლევან ყენია გელზენკირხენის „შალკეს“ 17 წლის ფეხბურთელია, რომელსაც ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ.

ყენიამ „შალკესთან“ პროფესიული კონტრაქტი ამასწინათ გააფორმა და შესაბამისად, ფეხბურთელის სარეკლამო უფლებებიც კლუბს გადაეცა, თუმცა გერმანელებმა გამონაკლისი დაუშვეს და ლევანის იმიჯის გამოყენების უფლება, მხოლოდ საქართველოში, „კოლხიდას“ დაუთმეს.

— ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის „კოლხიდასა“ და ლევან ყენიას ამგვარი ურთიერთობა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია და დარწმუნებული ვარ, ჩვენი საერთო საქმისთვის სასიკეთო იქნება. მადლობა გელზენკირხენის „შალკეს“ ხელმძღვანელობას, მათ საქართველოში ლევანის იმიჯის გამოყენების უფლება დაგვითმეს — თქვა გუშინდელ პრეზენტაციაზე „კოლხიდას“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლექსო თოფურიამ, „კოლხიდას“ გენერალურმა მენეჯერმა ვახტანგ ღონღაძემ და ლევან ყენიამ კი კონტრაქტი თავიანთი ხელმოწერებით დაამოწმეს.

— ცხადია, სასიამოვნოა, რომ „კოლხიდასთან“ მომიწევს ურთიერთობა, რაც, იმედი მაქვს, მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის იქნება მომგებიანი. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი პროექტია და მომავალშიც ყველანაირად ვეცდები, ჩემი წვლილი შევიტანო ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში — ხელმოწერის შემდეგ გვითხრა ლევან ყენიამ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ამ თანამშრომლობის დაწყებისთვის მადლობა გადაუხადა „კოლხიდას“ და ლევან ყენიას და დაამატა, ევროპაში მიღებული პრაქტიკაა, როცა ფეხბურთელი თავის საიმიჯო უფლებებს რომელიმე წარმატებულ კომპანიას გადასცემს, რითაც ერთი-ორად გაიზრდება თავად კომპანიის და მასთან ერთად ქართული ფეხბურთის პოპულარობაო.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ქართველი ფეხბურთელებიდან თავისი იმიჯის გამოყენების უფლება პირველად კახა კალაძემ კომპანია „მაგთის“ გადასცა.

ძოგა ინასარიძე

ბაჩარი ჯიმშელაძის ფოტო

ლექსო თოფურია, ლევან ყენია და ვახტანგ ღონღაძე

უვედეთი

სუპერფინალი. X ტური

იონჩოპინგი 2:3 ბრომაპოიკარნა
ანგელჰოლმი 0:3 ფალკენბერგი
ატვიდაბერგი 0:0 ჰეკენი
ბუნკეფლო 0:1 ენჩოპინგი
დეგერფორსი 1:1 ასირისკა
იორგრიტე 3:1 ძვიდინგი

ბადრი ჯღუბლაძის ფოტო

რაინერ ციობელი
და ბუბა ტყავაძე

საქართველოს ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — 59 წლის გერმანელი **რაინერ ციობელი.** კლუბსა და მწვრთნელს შორის თანამშრომლობის ათვლა გუშინ დაიწყო, „დინამომ“ ახალ მწვრთნელთან 1+2-ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ციობელი თბილისში გუშინწინ ჩამოფრინდა, გუშინ კონტრაქტს ხელი მოაწერა და დღეს შინ დაბრუნდება. პარასკევს კი ჩამოვა და საქმესაც შეუდგება. ...„დინამოს“ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე და ფიფას ლიცენზირებული აგენტი აკა ტონია ამ ერთი კვირის წინ ციობელს გერმანიაში შეხვდნენ და თანამშრომლობაზე მაშინ შეთანხმდნენ. მწვრთნელმა ერთი-ორი დღე იფიქრა და...

ბადრი ჯღუბლაძის ფოტო

რაინერ ციობელი
და აკა ტონია

ახალი ციო დინამოში

რაინერ ციობელი: მთავარია, გუნდი გამომყვეს

— ციობელი გერმანიაში საკმაოდ ავტორიტეტული და პატივცემული კაცია. მდიდარი სამწვრთნელო კარიერა აქვს და 70-იან წლებში იმ დიდი მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი იყო, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი — გვითხრა *აკა ტონიამ* — ციობელი ბოლოს ეგვიპტეში მუშაობდა, სადაც გუნდი სამჯერ აჩემპიონა. თავის დროზე კი „კაიზერსლაუტერნსა“ და „ნიურნბერგს“ თავკაცობდა. ციობელი, ასე ვთქვათ, გუნდების გადარჩენის უნარითაც გამოირჩევა, მაგალითად, „კიკერსი“ როცა ჩაიბარა, გუნდი მეორე ბუნდესლიგის უპირობო აუტსაიდერი იყო, მაგრამ სამ თვეში იმდენი მოახერხა, გუნდი ათეულში მოხვდა. მას სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობის გამოცდილებაც აქვს და იმედია, ციობელს კარიერის ქართული პერიოდიც წარმატებული გამოუვა.

„დინამოს“ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე, ცხადია, კმაყოფილია ახალი მწვრთნელის მიწვევით და კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, აი, ეს გვითხრა:

— ციობელმა კარგად იცის სხვადასხვა ქვეყნებში წარმატების და ჩემპიონობის ფასი. საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელია და მისი სამსახური გამოგვადგება.

— ციობელთან კონტრაქტი ერთს პლუს ორწლიანია. რატომ მიეცით კონტრაქტს ასეთი ფორმა?

— არაფერი განსაკუთრებული, ციობელს უცხო ქვეყანაში მოუწევს მუშაობა და, შესაძლოა, ადაპტაცია გაუჭირდეს. ამიტომაც მოვრიგდით კონტრაქტის ამგვარ სისტემაზე. ერთი წლის შემდეგ კი ან გავაგრძელებთ თანამშრომლობას, ან ერთმანეთს დავშორდებით. ყოველ შემთხვევაში, ასეთი კონტრაქტით გვსურს, რომ ყოველგვარი გაუგებრობა გამოვრიცხოთ და მომავალში ერთმანეთზე ნაწყენები არ დავრჩეთ.

— ციობელთან მოლაპარაკებებმა დიდი დრო წაიღო?

— ჩვენ 18 თვის წინ ვიცოდით, რომ დუშან უჭრინის შემდეგ ახალი მწვრთნელი დაგვჭირდებოდა. ამ საკითხზე ინტენსიურად ვმუშაობდით და აგერ შედეგიც. კონკრეტულად ციობელთან მოლაპარაკებას კი რამდენიმე კვირა დასჭირდა.

„დინამოს“ ახალი მწვრთნელი გუშინვე გავიცანით. თავაზიანი და სასიამოვნო მოსაუბრე — აი, პირველი შთაბეჭდილება, რომელიც რაინერ ციობელთან რამდენიმეწუთიანი შეხვედრის შემდეგ დაგვრჩა...

— ფეხბურთის მოყვარულ ნებისმიერ ევროპელ ქომაგს დღეს რომ ჰკითხო, რომელ ქართულ გუნდს იცნობთო, დარწმუნებული ვარ, ერთი პასუხი ექნება — თბილისის „დინამო“. „დინამო“ სახელოვანი და ავტორიტეტული კლუბია და ბედნიერი გახლავართ, რომ აქ მუშაობის საშუალება მომეცა.

— ცხადია, „დინამოზე“ ახლა უფრო მეტი იცით და მომავალში კიდევ მეტს შეიტყობთ. აქამდე რა იცოდით?

— 70 წლის განმავლობაში „დინამოს“ წარმატებები და მიღწევები სხვა ქვეყანას უკავშირდებოდა და „დინამო“ თუ საქართველოს გუნდი იყო, უმეტესობამ არც იცოდა. მოგვიანებით კი, 90-იან წლებში გავიგე, რომ გუნდი რომელმაც დასავლეთ გერმანიაში აღმოსავლეთ გერმანული გუნდი თასების თასის ფინალში დაამარცხა, თბილისის, ანუ ქართული „დინამო“ ყოფილა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ფინალიდან რამდენიმე წლის შემდეგ მაშინდელი მატჩის ფირი ჩამივარდა ხელთ და კიდევ ერთხელ ნახვის შანსი არ გავუშვი.

— ქართველი ფეხბურთელებიც გეცოდინებათ. რა აზრის ხართ?

— ცხადია, შემიძლია, ბევრი ქართველის გვარი ჩამოვთვალო, მაგრამ ეს რას მოგვცემს. მე იმედი მაქვს, რომ „დინამო“ ჩემს ხელში ისეთი გუნდი იქნება, ფეხბურთელები „ფრაიბურგში“ აღარ წავლენ და გაცილებით მაღალ დონეზე ითამაშებენ.

— პირველი საქმე რა იქნება, რასაც გუნდთან შეხვედრის შემდეგ გააკეთებთ?

— ფეხბურთელებს დაველაპარაკები და თავიანთ შესაძლებლობებში დავარწმუნებ. მათ ვეტყვი, რომ გამომყვნენ და ჩვენ ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევთ. ცხადია, საქართველოს ჩემპიონის ტიტული უნდა შევინარჩუნოთ, მოვიგოთ თასი და ევროტურნირებზეც ღირსეულად ვითამაშოთ — იმედი მაქვს, ბიჭები ჩემს სიტყვებს გაითავისებენ და ყველაფერი კარგად იქნება.

— მალე „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. რისი იმედი უნდა გქონდეს, მოასწრებთ იქამდე კარგი გუნდის გაკეთებას?

— მე ასე მსურს და უკეთესი იქნება, გუნდიც თუ გამომყვება. დარწმუნებული ვარ, დინამოელებს გაცილებით მეტი შეუძლიათ, მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი თავის რწმენა და მაშინ წარმატებაც ახლოს იქნება. ნიჭიერი ფეხბურთელები ყველგან არიან და მით უმეტეს, საქართველო არის ტალანტებით ძალიან მდიდარი ქვეყანა. ეს ჩემი მეგობრებისგან ვიცი.

— ყველა ახალ მწვრთნელს გუნდში ახალი ფეხბურთელები თუ თანაშემწეები მიჰყავს. „დინამოში“ როგორ იქნება?

— არავინ მომყავს, ახალი თავად ვარ.

აი, ასე: „დინამოში“ ახალი მწვრთნელის ახალი დრო იწყება. იცნობდეთ — რაინერ ციობელი!

კოგა ინასარიძე

რაინერ ციობელი

დაიბადა 1948 წლის 3 ნოემბერს ვრეშტედტში (გერმანია)

მოთამაშის კარიერა:

1968-70	ჰანოვერი	66	4
1970-75	ბაიერნი	180	19

გერმანიის B ნაკრებში 1 მატჩი

სამწვრთნელო კარიერა:

1987-90	ბრაუნშვაიგი
1990-92	კიკერსი
1992-93	კაიზერსლაუტერნი
1994	ნიურნბერგი
1996-97	ტენის ბორუსია
1998-2000	ალ აჰლი (ს.არაბეთი)
2000-01	კიკერსი
2002	ბანი იასი (ს.არაბეთი)
2002-03	ალ იტიჰადი (ს.არაბეთი)
2004-05	პერსეპოლისი (ირანი)
2006	შარიაჰი (ეგვიპტე)
2006-07	ENPPI (ეგვიპტე)

საქართველო და ტრადიციული პალანგა

გელა შეყილაძე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები აგვისტოში პალანგის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრები A ჯგუფში მოხვდა რუსეთის, სომხეთის და მოლდოვის ნაკრებებთან ერთად. B ჯგუფში მოხვდნენ ლიტვა, აზერბაიჯანი, ბელარუსი და ლატვია.

19 აგვისტოს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მოლდოვას გაეჯიბრება. 20 აგვისტოს — რუსეთს, ხოლო 22 აგვისტოს — სომხეთს.

ჯგუფიდან ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავა.

ნახევარფინალური მატჩები 24 აგვისტოს შედგება, ფინალი კი 25-ში.

ჯგუფებში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები მე-5-8 ადგილებისთვის ითამაშებენ.

გელა შეყილაძე ბალტიისპირეთში 1992 და მომდევნო წლებში დაბადებულ ფეხბურთელებს წაიყვანს.

ქაჩა შალამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ტატანაშვილი, მათე ვაწაძე, კახა კალაძე, გიორგი მერებაშვილი, უჩა ლობჟანიძე, გია მეგრელაძე, ნესტორ მუმლაძე, ლევან ფანიაშვილი

პროფლიგის ნომინაციები ყველა, ხუციშვილის გარდა!

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის „დიას“ დაჯილდოებამ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ჩაიარა. გამოვლინდა 10 ნომინანტი და მათ შორის ზოგმა პირველად მიიღო ინდივიდუალური პრიზი, ამიტომაც, ცხადია, ეს საღამო დიდხანს დაამახსოვრდებათ.

საღამოს წამყვანები იყვნენ მსახიობი თემურ ჭიჭინაძე და ტელეკომპანია „კოლხიდას“ ჟურნალისტი თათული ბართაია. როგორც შარშან, ამჯერადაც გივი გაჩეჩილაძის ბენდი აჟღერებდა მუსიკას, ხოლო მოწვეულ მომღერალთა შორის — ნიაზ დიასამიძემ და ჯგუფმა „3ა“-მ შეასრულეს ორი სიმღერა, ინგლისელმა ჯაზმენმა კი შოთა არველაძის საპატივცემულოდ ჯერ ფრენკ სინატრას ერთ-ერთი ჰიტი, შემდეგ კი ბორის ბედიასთან ერთად გოგი დოლიძის „საქართველოს გამარჯვება დაგვილოცე, ღმერთო“ იმღერა.

თვითონ შოთამ პრიზი სეზონის აღმოჩენას, თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდ მათე ვაწაძეს გადასცა და გაამხნევა, მართალია, თბილისის „დინამო“ დიდი კლუბია, მაგრამ გაცილებით დიდ კარიერას გისურვებო.

უცნაურია, მაგრამ პრიზის გარეშე დარჩა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მიხეილ ხუციშვილი.

მონიტორზე სეზონის საუკეთესოდ მიჩნეული 12 გოლიც გვაჩვენეს და, ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა, მასში ამერელი ვლადიმერ კაკაშვილის გორის „დილასთან“ ცენტრიდან გატანილი გოლი რომ ვერ მოხვდა — არადა, უნიკალური გოლი იყო. გამარჯვებულად კი ბორჯომელი გია მეგრელაძის გოლი აღიარეს, რომელიც მან „ამერს“ გაუტანა დიდი მარკო ვან ბასტენის სტილში...

ახლა კი, სათითაოდ ნომინანტებზე...

მეკარე: დიდიე ოვონო (დინამო);

წარდგენილნი იყვნენ: ოვონო, როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ლადო ნადირაშვილი (ამერი);

მცველი: უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი);

წარდგენილნი იყვნენ: ლობჟანიძე, ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), მილოშ კრშკო (დინამო);

ნახევარმცველი: გიორგი მერებაშვილი (დინამო);

წარდგენილნი იყვნენ: მერებაშვილი, დავით ოდიკაძე (დინამო), ჟილვან ვიეირა (ზესტაფონი);

თავდამსხმელი: დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი);

წარდგენილნი იყვნენ: ტატანაშვილი, ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი);

აღმოჩენა: მათე ვაწაძე (დინამო);

წარდგენილნი იყვნენ: ვაწაძე, ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით დევდარიანი (ოლიმპი);

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია);

წარდგენილნი იყვნენ: მუმლაძე, დუშან უჰრინი (დინამო), თემურ მახარაძე (ზესტაფონი);

მსაჯი: ლევან ფანიაშვილი;

წარდგენილნი იყვნენ: ფანიაშვილი, ლევან კვარაცხელია, გიორგი ვადაჭკორია;

პროექტი: ტელეკომპანია „კოლხიდა“;

წარდგენილნი იყვნენ: „კოლხიდა“, „ბიჩ სოკერი“, საგურამოს საწვრთნელი ბაზა;

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი: გიორგი მერებაშვილი (დინამო);

წარდგენილნი იყვნენ: მერებაშვილი, მიხეილ ხუციშვილი (დინამო), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი);

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი: კახა კალაძე (მილანი);

წარდგენილნი იყვნენ: კალაძე, ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე), ლევან კობიაშვილი (შალკე).

როგორც ხედავთ, პროფლიგა „სარბიელის“ ტრადიციულ გამოკითხვას 50 პროცენტით „დაეთანხმა“: ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ მერებაშვილი აღიარა, თუმცა „სარბიელის“ რჩეულ ალექსანდრე იაშვილის ნაცვლად „დია 2008“-ზე კახა კალაძე გამოჩნდა...

ილია ნანობაშვილი

სარბიელი და ისტორია

„სარბიელმა“ გუშინ 2007-2008 წლების სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის ვინაობა გამოაცხადა.

62 სპორტულ ჟურნალისტს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, სეზონის რჩეული ალექსანდრე იაშვილი გახდა.

„სარბიელის“ გამოკითხვა უკვე მეთექვსმეტედ ჩატარდა და მას რვა გამარჯვებული ჰყავდა — საუკეთესოს ტიტული ოთხჯერ მოიპოვა კახა კალაძემ, სამჯერ შოთა არველაძემ, ორ-ორჯერ გიორგი ქინქლაძემ, ლევან კობიაშვილმა და ალექსანდრე იაშვილმა, თითოჯერ ლაურეატები გახდნენ აკაკი დევაძე, თემურ ქეცბაია და ზაზა ჯანაშია.

აი, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში კი ვითარება სხვაგვარია და შეიძლება ითქვას, აქ კონკურენცია უფრო დიდია.

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს „სარბიელი“ 1998 წლიდან ასახელებს, ანუ წლეულს ამ ნომინაციაში გამარჯვებული მეთერთმეტედ გამოვლინდა. 11 სეზონში კი მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა შეძლო ჟურნალისტთა გულების ორჯერ მოგება: ეს ზურაბ იონანიძეა.

1997-98	დავით მუჯირი	დინამო
1998-99	რატი ალექსიძე	დინამო
1999-00	ზურაბ იონანიძე	ტორპედო
2000-01	ზაზა ზირაქიშვილი	დინამო
2001-02	მალხაზ ასათიანი	ტორპედო
2002-03	ზურაბ იონანიძე	ტორპედო
2003-04	დავით კვირკველია	დინამო
2004-05	ლევან მელქაძე	დინამო
2005-06	ოთარ მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია/დინამო (კ)
2006-07	სანდრო იაშვილი	დინამო
2007-08	გიორგი მერებაშვილი	დინამო

შერმადინის ავ-კარგი ტრევიზოში გამოჩნდა
სპეციალისტებმა ქართველები დააბერეს

გიორგი შერმადინი

ფოტო ალექსანდრ ბალაბანოვისა

იტალიის ქალაქ ტრევიზოში მიმდინარე ნბა-ს კემპი იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ მასში სამი ქართველი მონაწილეობს — გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი და გიორგი ცინცაძე. ამ სამიდან ნბა-ს დრაფტზე არჩევის ყველაზე დიდი შანსი შერმადინს აქვს, რომელიც აქამდე 2 თვე ამერიკაში ემზადებოდა და იქაურებს ასე თუ ისე, თავიც გააცნო, ხოლო ცინცაძე და მარკოიშვილი თავთავიანთ კლუბებში იყვნენ დაკავებულნი.

ტრევიზოში ჩასვლამდე შერმადინი „პორტლენდის" წინასადრაფტო ვარჯიშებში მონაწილეობდა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა ვერაფრით მოხიბლა. მასზე პორტლენდელ ჟურნალისტებს ტკბილი სიტყვა არ დასცდენიათ.

შერმადინზე ამერიკელები წერდნენ, რომ მისი რეალური ძალა ორლანდოს და ტრევიზოს წინასადრაფტო კემპებზე გამოჩნდებოდა, თუმც გიორგი ფლორიდულ კემპზე არ მიიწვიეს, ხოლო იმას, რაც ტრევიზოში გადახდა თავს, ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ.

მანამდე კი მანუჩარ მარკოიშვილზე უნდა ითქვას, რომელმაც კემპის პირველ დღეს საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა კმაყოფილების საფუძველი ნაკლებად უნდა გვქონდეს, რაკი სპეციალისტები პირდაპირ მიუთითებენ გადაკეთებულ (დაკლებულ) ასაკზე.

„ძალიან კარგი იყო მანუჩარ მარკოიშვილი, ის ზუსტად ისროდა და სწორ გადაწყვეტილებებსაც იღებდა — წერს www.nbadraft.net-ი — მაგრამ, როგორც ერთმა სკაუტმა თქვა, 30 წლის კალათბურთელივით თამაშობს და პრობლემაც ის არის, რომ ალბათ მართლაც ამ ასაკისაა. უკვე ყველა საუბრობს, რომ 2-3 წლის გადაკეთება ქართველებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მათ შორის, შერმადინისაც, ხოლო მარკოიშვილის კიდევ ერთი ნაკლი არასაკმარისი სისწრაფეა".

ეს მანუჩარზე ტრევიზოს კემპის პირველი დღის შემდეგ დაიწერა, ხოლო მეორე დღეს მასზე არაფერი თქმულა. შერმადინზე კი უფრო მეტი დაიწერა — ცუდიც და კარგიც...

„გიორგი შერმადინი ამ კემპზე ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი ტალანტია — წერს საიტი draftexpress.com — ყველას აინტერესებდა, როგორ ითამაშებდა ის და ქართველმაც თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. შერმადინმა დაამტკიცა, რომ მხოლოდ სტატისტიკის შემვსები არაა უცხო ლიგაში (იგულისხმება საქართველოს ჩემპიონატი). შვიდფუტიან ქართველს ათლეტური აღნაგობა აქვს, საკმაოდ ძლიერი და აგრესიულია, რაც დიდი პლუსია ასეთი ტიპის კალათბურთელისთვის. შერმადინს პოტენციალი აქვს, ვერ ვიტყვით, სუპერვარსკვლავობისო, მაგრამ ის ნამდვილი კალათბურთელია".

ეს კემპის პირველი დღის შემდეგ დაიწერა და აი, მომდევნო დღის ამბებიც:

„მეორე დღეს ორმა ძალიან პერსპექტიულმა თურქმა ივარჯიშა — სემიჰ ერდენმა და ომერ აჩიკმა. მათ მეტოქეობას უწევდნენ ჰენკ ნორელი და გიორგი შერმადინი, რომლებიც თურქების ფონზე ბავშვებივით გამოიყურებოდნენ. შერმადინი მთლიანად შეიბოჭა, იშვიათად ისროდა შედეგიანად და სწრაფად სირბილი უჭირდა. გიორგის მცირე შანსი აქვს, რომ დრაფტზე აირჩიონ და მასზე ძალიან ბევრი საუბრობს, რომ რეალურად თავის საპასპორტო ასაკზე (1989) გაცილებით უფროსია".

ერთი სიტყვით, უცხოურ პრესაში შერმადინზე არაერთგვაროვანი აზრია შექმნილი. ეს კი მის სადრაფტო შანსებს გვარიანად აუფერულებს და იმის ალბათობას ზრდის, რომ გიორგის კანდიდატურა დრაფტიდან მოიხსნას. ამის გაკეთების უფლება მის აგენტს 16 ივნისამდე აქვს. შერმადინის აქაური პროტეჟე ჯამლეტ ხუხაშვილს კი ნათქვამი აქვს, თუ პირველ რაუნდში არჩევის გარანტია არ გვექნება, განაცხადს გამოვიტანთო. ასეთი გარანტიის მიღება რომ ძნელი იქნება, ამას ლაპარაკიც არ უნდა.

ირაკლი პერტაია

დანიელ პედროსა

დანი პედროსას სამი კლასი

დანიელ პედროსამ მშობლიური, კატალონიის დიდი პრიზის სრული კომპლექტი შეაგროვა. თავის დროზე, მას 125 და 250 კუბური სანტიმეტრი ძრავების მქონე მოტოებით უმარჯვია ბარსელონაში და აი, გასულ კვირას „სამეფო", მოტოGP-ის კლასშიც იმარჯვა, როდესაც მძაფრ ბრძოლაში აჯობა წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო სამი ეტაპის მომგებ ვალენტინო როსის და მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონ კეისი სტოუნერს.

შაბათს კვალიფიკაცია სტოუნერმა მოიგო, მაგრამ პედროსამ სტარტზევე ჩამოიტოვა ავსტრალიელი და ბოლომდე შეძლო პირველობის შენარჩუნება. ეს იყო „ჰონდას" ესპანელი მრბოლის მეორე გამარჯვება მიმდინარე სეზონში და ახლა პედროსა გენერალურ კლასიფიკაციაში 7 ქულითღა ჩამორჩება ვალენტინო როსის.

როსი კი კვლავაც ყურადღების ცენტრში იყო. „დოქტორმა" კვალიფიკაცია ჩააგდო, მხოლოდ მეცხრე შედეგი აჩვენა და მესამე რიგიდან გაიკვალა გზა პოდიუმისკენ. იტალიელმა ასმა პედროსას გარდა, ყველა წინმყოფი უპრობლემოდ ჩაყლაპა და სტოუნერთან უშელავათო ბრძოლაში მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ როსი კატალონიაში არასდროს დარჩენილა პოდიუმს მიღმა, ხოლო ხუთჯერ, სულაც გამარჯვებული გამხდარა.

აქვე გეტყვით, რომ კატალონიური ეტაპი გამოტოვა ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა, ესპანელმა ხორხე ლორენცომ, თუმც საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია მაინც შეინარჩუნა.

უაღრესად დაიძაბა სიტუაცია საშუალო, 250-იანთა კლასში. ლიდერი, ფინელი მიკა კალიო ბარსელონაში უქულოდ დარჩა და ზედიზედ ორი ეტაპის მომგები იტალიელი მარკო სიმონჩელი მას სამი ქულითღა ჩამორჩება.

უმცროს, 125-იანთა კლასში ფრანგმა მიშელ დი მელიომ იმარჯვა და გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობა განიმტკიცა — უახლოეს მდევარს, იტალიელ სიმონე კორსის ფრანგი, უკვე 14 ქულით უსწრებს.

ბახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში. VII ეტაპი. კატალონიის დიდი პრიზი. ბარსელონა. 8 ივნისი

მოტო GP (24 წრე)

1. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა")	43წთ 02,175წმ
2. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა")	43. 04,981
3. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი")	43.05,518
4. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა")	43.13,068
5. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა")	43.18,601

საერთო ჩათვლა: 1. როსი 142 ქულა; 2. პედროსა 135; 3. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა") 94; 4. სტოუნერი 92; 5. ედვარდსი 69

250 კბ/სმ (22 წრე)

1. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა")	41წთ 01,859წმ
2. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია")	41.01,898
3. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია")	41.13,150
4. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია")	41.23,232
5. ტომას ლუტჰი (შვეიცარია, „აპრილია")	41.28,480

საერთო ჩათვლა: 1. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) 106 ქულა; 2. სიმონ ჩელი 103; 3. მატია პაზინი (იტალია, „აპრილია") 98; 4. დებონი 92; 5. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) 70

125 კბ/სმ (20 წრე)

1. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი")	41წთ 08,708წმ
2. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, „დერბი")	41.08,976
3. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია")	41.09,046
4. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია")	41.17,743
5. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია")	41.18,849

საერთო ჩათვლა: 1. დი მელიო 112 ქულა; 2. კორსი 98; 3. ბრადლი 77; 4. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია") 75; 5. ესპარგარო 75

კავკასიური ფარიკაობა

გასულ კვირას დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი 23-წლამდე მოფარიკაველებს შორის. შეჯიბრებაში საქართველოს გარდა, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებიც მონაწილეობდნენ. ჩემპიონი პრიზიორები ფარიკაობის სამივე სახეობაში გამოვლინდა. ქართველმა სპორტსმენებმა განსაკუთრებით კარგად ტურნირის მესამე დღეს იასპარეზეს. დაშნაში კაცებს შორის ჩემპიონი დავით ელბაქიძე გახდა, ხმალში უძლიერესი დავით მთვარელიძე იყო, ხოლო ქალთა რაპირაში ყველას ნატო კობიაშვილმა აჯობა.


ბადრი ჯუნელაძის ფოტო

ზურაბ მიგრიაული

ქალები

ხმალი: 1. საბინა მიკინა (აზერბაიჯანი), 2. სევილ ბუნიატოვა (აზერბაიჯანი), 3. სევინ ბუნიატოვა (აზერბაიჯანი) და თეოდორა კახიანი (საქართველო)

რაპირა: 1. ნატო კობიაშვილი (საქართველო), 2. ეკა გიორგაძე (საქართველო), 3. ციმი ხალხელაური და ნინო კილაძე (ორივე საქართველო)

დაშნა: 1. ელმირა ხუდაბერდიევა (აზერბაიჯანი), 2. თეონა ბენიძე (საქართველო), 3. ნათია ჩაჩხიანი და ხატია ლელაძე (ორივე საქართველო)

კაცები

რაპირა: 1. არმენაკ გასპარიანი (სომხეთი), 2. ავთო ჭეიშვილი (საქართველო), 3. სანდრო სიხარულიძე (საქართველო) და არამ გრიგორიანი (სომხეთი)

დაშნა: 1. დავით ელბაქიძე (საქართველო), 2. დავით არველაძე (საქართველო), 3. ტეგრან რასულოვი (აზერბაიჯანი) და მიხეილ კაზარიანი (სომხეთი)

ხმალი: 1. დავით მთვარელიძე (საქართველო), 2. ბექა ბაზაძე (საქართველო), 3. რამინ ამიროვი და ელჩინ ალიევი (ორივე აზერბაიჯანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6675
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	5585
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	5225
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	3050
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2905
6. ენდი როდიკი (აშშ)	2405
7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2015
8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2000
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1615
10. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1595
11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1555
12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1490
13. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1485
14. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1440
15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1405
16. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	1360
17. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	1345
18. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1335
19. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1255
20. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1240

საჩემპიონო რბოლა

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	710
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	611
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	500
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	340
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	254
6. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	231
7. ენდი როდიკი (აშშ)	213
8. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	200
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	191
10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	189
11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	174
12. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	161
13. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	160
14. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	149
15. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	148
16. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	136
17. ხუან მონაკო (არგენტინა)	135
18. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	134
19. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	131
20. მარდი ფიში (აშშ)	130

საპრიზოები

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	2719094
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	2292541
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1254959
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	1195576
5. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	797506
6. ენდი როდიკი (აშშ)	731376
7. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	617441
8. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	610122
9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	573315
10. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	572332
11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	521298
12. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	518519
13. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	517527
14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	499974
15. იგორ ანდრეევი (რუსეთი)	462455
16. მარდი ფიში (აშშ)	452588
17. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	408002
18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	399678
19. ტომი რობრედო (ესპანეთი)	389599
20 დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)	371915

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	4222
2. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3806
3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3755
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3565
5. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2750
6. სერენა უილიამსი (აშშ)	2676
7. ვინუს უილიამსი (აშშ)	2606
8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2541
9. დინარა საფინა (რუსეთი)	2222
10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	2035
11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	2032
12. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1940
13. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1912
14. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1776
15. აგნეს სჟავაი (უნგრეთი)	1681
16. ვიკტორია აზარენკა (ბელარუსი)	1386
17. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1248
18. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1201
19. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1187
20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი)	1160

საჩემპიონო რბოლა

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2671
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2505
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2395
4. სერენა უილიამსი (აშშ)	1765
5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1680
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1536
7. დინარა საფინა (რუსეთი)	1533
8. ვერა ზვაონარიოვა (რუსეთი)	1462
9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1202
10. პატი შნიდერი (შვეიცარია)	943
11. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	924
12. ვიკტორია აზარენკა (ბელარუსი)	792
13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	786
14. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	780
15. ვინუს უილიამსი (აშშ)	766
16. ფლავია პენეტა (იტალია)	721
17. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)	712
18. აგნეს სჟავაი (უნგრეთი)	647
19-20. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)	639
19-20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	639

საპრიზოები

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2464858
2. მარია შარაპოვა (რუსეთი)	1890850
3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1444995
4. დინარა საფინა (რუსეთი)	1200608
5. სერენა უილიამსი (აშშ)	1157466
6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	979647
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	777967
8. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	698304
9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	543206
10. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)	507524
11. ვიკტორია აზარენკა (ბელარუსი)	488088
12. ჟუსტინ ენინი (ბელგია)	458470
13. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)	457441
14. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა)	431922
15. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	421643
16. პატი შნიდერი (შვეიცარია)	408092
17. აი სუგიამა (იაპონია)	383742
18. ვინუს უილიამსი (აშშ)	383201
19. კატერინა ბონდარენკო (უკრაინა)	373389
20 ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი)	367544

სარეიტინგო ადი-ჩადი

სეზონის მეორე სლემტურნირის, „როლან გარაოსის“ დასრულების შემდეგ, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. განთესვის კლასიფიკაციაში 15 ქართველია მოხსენიებული — 4 კაცი და 11 ქალი და ამ 11 ქალიდან ოთხმა — ანა ტატიშვილმა, სოფო შაფათავამ, ოქსანა კალაშნიკოვამ, მაგდა ოქრუაშვილმა — კარიერის უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს.

ტატიშვილმა წინა რეიტინგთან შედარებით, 30 ნაბიჯი გადადგა წინ და 244-ე პოზიციაზე აღმოჩნდა; შაფათავამ 6 საფეხურით მაღლა, 316-ე ადგილზე აიწია; კალაშნიკოვამ 64 პოზიცია მოიგო და 581-ე საფეხურზე აღზევდა, ხოლო ოქრუაშვილმა რვა ადგილით წინ წაიწია და 921-ე პოზიციას უწია.

68 საფეხურით მაღლა ავიდა მანანა შაფაქიძეც, თუმც მას კარიერის საუკეთესო შედეგამდე (597) ჯერ კიდევ 20 ადგილი აშორებს.

კაცები

457 (-2) ლადო ჩიხლაძე	62
1224 (+1) ნოდარ ითონიშვილი	4
1586 (-7) გიორგი ჭანტურია	1
1811 (-1) გიორგი ხრიკაძე	1

ქალები

185 (-6) მაკა ჩახნაშვილი	166
244 (+30) ანა ტატიშვილი	110
316 (+6) სოფო შაფათავა	71
488 (-0) თინა ყავლაშვილი	34
527 (+14) სალომე დევიძე	29
581 (+64) ოქსანა კალაშნიკოვა	24
617 (+68) მანანა შაფაქიძე	21
699 (-13) სოფო ქვაცაბაია	16
797 (+9) ეკა გორგოძე	10
921 (+8) მაგდა ოქრუაშვილი	6
1006 (+8) სოფო მელიქიშვილი	4



ა. ფოლადაშვილის ფოტო

ხუთი ქართველი სტამბოლის ბადეში

ამ კვირაში ჩოგბურთის ქართველ ქომაგთა ყურადღება ოთხი ქალაქისკენ იქნება მიპყრობილი — ფრანგული მარსელისკენ, ამერიკული ელ პასოსკენ, თურქული სტამბოლისკენ და უკრაინული ჩერკასისკენ. ამ ქალაქებში ITF-ის ეგიდით, სხვადასხვა რანგის ტურნირები ტარდება და ამ შეჯიბრებებში ბლომად ჩვენებურები მონაწილეობენ.

ყველაზე დიდი ქართული დესანტი სტამბოლშია. იქაურ მაგარსაფარზე ქალთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში ერთბაშად ხუთი ჩვენებური მოხვდა — ოქსანა კალაშნიკოვა, მანანა შაფაქიძე, სოფო ქვაცაბაია, ეკა გორგოძე და ანა ჯიქია. ამათგან პირველმა სამმა ეს უფლება რეიტინგის წყალობით მიიღო, ხოლო გორგოძემ და ჯიქიამ საკვალიფიკაციო ეტაპზე იმარჯვეს.

კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად განთესილი გორგოძე პირველ წრეში თავისუფალი იყო, ხოლო მეორეში მან 6:3 6:1 აჯობა გერმანელ ჰერმინ ბრჰანს და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა. ჯიქიას საამისოდ ორი მეტოქის დამარცხება დასჭირდა. ანამ ჯერ 6:0 6:0 გაანადგურა თურქი ელიფ ნურ კულაზი, შემდეგ კი 6:4 6:3 სძლია რუს ნადეჟდა სამოილოს.

კვალიფიკანტთა შორის კიდევ ერთი ქართველი, 16 წლის გვანცა რობაქიძეც იყო, ვინც პირველივე შეხვედრაში 0:6 2:6 დამარცხდა ავსტრალიელ მარისა ჯიანოტისთან.

რაც შეეხება ძირითად ბადეს, წილისყრამ ისე ინება, რომ ორი ჩვენებური — მე-7 ნომრად განთესილი კალაშნიკოვა და ქვაცაბაია პირველივე წრეში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. შაფაქიძე ავსტრალიელ ჯედ ჰოპერს ხვდება, გორგოძე — მასავით კვალიფიკაციიდან წამოსულ რუს ეკატერინა კისელიოვას, ხოლო ჯიქიას ყველაზე ძლიერი მეტოქე ერგო თურქეთის პირველი ჩოგნის, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი კაგლა ბუიკაკჩაის სახით.

მარსელის თიხნარზე 75-ათასიანი შეჯიბრია და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი პირველ წრეში 20 წლის რუმინელს, რეიტინგის 206-ე საფეხურზე მყოფ აგნეს ჟატმარის ხვდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასური ელ პასოს ჰარდზე კი 25-ათასიანი ტურნირი ტარდება. ანა ტატიშვილი იქ მეორე ნომრად იქნება განთესილი.

რაც შეეხება ჩერკასკს, იქ კაცთა 10-ათასიანი შეჯიბრია, რომლის ძირითად ბადეში ნოდარ ითონიშვილიც არის და პირველ წრეში 29 წლის უკრაინელს, კლასიფიკაციის 671-ე ნომერ ალექსანდრ იარმოლას ხვდება. ძირითად ბადეში მოხვედრას, ითონიშვილის გარდა, კიდევ სამი ქართველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდა.

სერგო სიხარულიძემ უკრაინელ ანტონ კოზაკთან 6:0 6:1 გამარჯვების შემდეგ 3:6 7:5 0:6 წააგო ბრიტანელ კრის პრიდლთან და შეჯიბრი დაასრულა, ხოლო ლაზარე კუხალეიშვილსა და გიორგი ხრიკაძეს ძირითად ბადემდე თითო გამარჯვებაღა აშორებთ. კუხალეიშვილმა უკრაინელი სეხნიები, არტემ ტივაკოვი და არტემ იაცენკო, შესაბამისად, 6:0 6:1 და 6:3 6:2 დაამარცხა და გადამწყვეტ მატჩში კიდევ ერთ მასპინძელს, კვალიფიკანტთა შორის მე-2 ნომრად განთესილ დიმიტრი კამინინს დაუპირისპირდება, ხოლო ხრიკაძე, ვინც პირველ წრეში თავისუფალი იყო, უკრაინელ ალექსანდრ რეიპოლსკის 6:1 6:2 გასცდა და რუს ანდრეი ლევინთან შეხვედრაში ეცდება ძირითად ბადეში თამაშის უფლების მოპოვებას.

ივანოვიჩის ანა-ბანა: იშრომე გიჟივით და ისიამოვნე თამაშით

სერბი ჩემპიონი პარიზით ტკბება და ლონდონზე ჯერ არ ფიქრობს

შაბათს ანა ივანოვიჩმა ჟუსტინ ენინისგან „როლან გაროსის“ ჩემპიონობა და მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტული გადაიბარა. სერბმა ლამაზმანმა სწორი დასკვნები გააკეთა ჭინკა ბელგიელთან ერთი წლის წინ წაგებული ფინალისგან და გასული ორი კვირის განმავლობაში ნაჩვენები კარგად გამართული და ლაზათიანი თამაშით სერბულ ჩოგბურთს მეორე სლემტიტული მოუტანა. პარიზული ტრიუმფის შემდგომ ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში ივანოვიჩი ძირითადად, სწორედ ამ თემებზე საუბრობს

— რამდენად კმაყოფილი ხართ ფინალში თქვენი თამაშით, რადგანაც გვერდიდან ისე ჩანდა, რომ მატჩს თქვენ აკონტროლებდით...

— სიმართლე გითხრათ, ვამაყობ საკუთარი გამოსვლით, რადგანაც ეს არ იყო იოლი მატჩი. დინარამ შშვენივრად ითამაშა, თუმც დღევანდელ შეხვედრის ყველა გადამწყვეტ მომენტში შევძელი საუკეთესო თვისებების გამოვლენა. და აქ ფსიქოლოგური მედეგობა უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე წმინდა საჩოგბურთიო ფაქტორები. ბედნიერი ვარ, რომ ამ რთულ ვითარებაში შევინარჩუნე საღი გონება, წყნარად და დაკვირვებულად ვითამაშე და ჩემი გავიტანე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ნელ-ნელა ვიხვეწები და ძნელი სიტუაციების დროს პანიკაში აღარ ვვარდები.

— სლემტურნირების ფინალში თამაში თქვენთვის სიახლე არ იყო, მაგრამ მოგების გემო აქამდე არ გაგესინჯათ. ამან დამატებით სანერვიულო არ გაგიჩინათ?

— ასეთ დროს ნებისმიერ შემთხვევაში ნერვიულობ — გინდ პირველად იყო ფინალში და გინდ მეოცედ. აქ ხომ ასე ახლოს ხარ გამარჯვებასთან, ერთი პატარა ნაბიჯი გაკლია. ისე, აქამდე წაგებული ფინალებიდან მიღებული გამოცდილება დღეს ძალიან წამადგა. თანაც ვიფიქრე, ჯერ მხოლოდ 20 წლის ვარ და უკვე მესამე სლემფინალს ვთამაშობ, ესე იგი, უკვე საკმაოდ ბევრისთვის მიმიღწევია-მეთქი. ამან ოდნავ დამაწყნარა და ვეცადე, თამაშისგან სიამოვნება მიმეღო. რა თქმა უნდა, მატჩის დროს ჩემში ემოციების ქარიშხალი ტრიალებდა, მაგრამ ამას მაინც გავართვი თავი, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ.

— ამბობენ, პირველი სლემტიტულის მოგება ჩოგბურთელს საკუთარ თავზე შეხედულებას უცვლისო. ამაზე რას იტყვით?

— ამაზე ჯერ არც მიფიქრია. ერთადერთი, რასაც ჯერჯერობით ვგრძნობ, უზომო სიხარულია. მაგრამ სლემტურნირის მოგება ხომ ის არის, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი და ამიტომ თავისთავად აღფრთოვანებული ვარ. მე ხომ დიდი შრომის გადატანა მომიწია კორტზეც და კორტს მიღმაც, ამისთვის რომ მიმეღწია. მე მიყვარს ჩოგბურთი და თამაშიდან ახლაც დიდ სიამოვნებას ვიღებ, ასეთი გამარჯვებები კი ის დამატებითი მოტივაციაა, რაც მომავალში მაიძულებს, უფრო გიჟურად ვიშრომო, რათა კიდევ განვიცადო ის, რაც ახლა სულში მიტრიალებს.

— ტურნირზე დინარამ რამდენიმე თითქმის წაგებული მატჩი ამოქაჩა. არ გეშინოდათ, რომ თქვენთანაც იგივეს მოახერხებდა?

— თავიდანვე ვაცნობიერებდი, რომ ძალიან ძლიერი მებრძოლი იყო და ამიტომ ვიცოდი, ყველა შანსი უნდა გამომეყენებინა. თუმც პირველ სეტში ბლომად მომენტები გავანაგე. ჰოდა, როცა 4:1-დან ანგარიში გამითანაბრა, მაშინ მართლაც შევშინდი. ამ დროს არცთუ ადვილი იყო, პანიკას გავმკლავებოდი, მაგრამ ეს მაინც მოვახერხე.

— თქვენზე ხანდახან ამბობენ, რომ ზედმეტად რბილი და გულჩვილი ხართ საიმისოდ, რომ მკვლელის ინსტინქტი გქონდეთ. დღეს ალბათ დაამტკიცეთ, რომ ასეთი თვისება მაინც გაგაჩნიათ...

— ვცდილობ, ვიქონიო. იცით, ისე, სათქმელად უფრო იოლია, ასრულება კი ძალიან ჭირს — კორტზე მართლა მკვლელივით უნდა იყო და მეტოქეს შანსი არ უნდა დაუტოვო. ისინი მუდმივი ზეწოლის ქვეშ უნდა გყავდეს და დაანახო, რომ ნაადრევად მოშვებას არ აპირებ. ამით მათ წონასწორობის აღდგენის სურვილიც კი უნდა მოუსპო. ჰოდა, მეც მაქსიმალურად ვცდილობ ასე ვითამაშო და ვიმოქმედო კორტზე. თუმც ეს ჩემს კორტსმიღმა საქციელს არ ეხება, რადგანაც არ ვაპირებ უზრდელობას და სამართლიანობის გრძნობის დაკარგვას მარტო იმის შიშით, რომ ვინმემ მკვლელის ინსტინქტის უქონლობაში არ „დამადანაშაულოს“.

— დინარა წლეულს განსაკუთრებით აქტიურად თამაშობდა მიღებაზე. მატჩის წინ ამის შესახებ გაგაფრთხილეს?

— სიმართლე გითხრათ, ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ მან არა მარტო ეს კომპონენტი გამოასწორა. იმასთან შედარებით, რაც მე მახსოვდა, ის გაცილებით აგრესიულად თამაშობდა და ამიტომ ამის შესაჩვევად გარკვეული დრო დამჭირდა. მეც ვცდილობდი მეტი სიძლიერით დამერტყა, რომ მას ფიქრისთვის ნაკლები დრო დარჩენოდა. ვფიქრობ, არცთუ ურიგოდ გამომივიდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ კარგი პროცენტი მქონდა პირველ მოწოდებაზე — ამან დინარას უფრო აქტიურად თამაშის შანსი გვარიანად შეუმცირა.

— ეს კიდევ ერთი დიდი დღეა სერბული ჩოგბურთისთვის. წლეულს ჯერ ნოვაკ ჯოკოვიჩმა მელბრუნში მოიგო სლემტიტული, აგერ ახლა კი — თქვენ. ჩოგბურთში სერბთა დომინირების ხანა დგება?

— იმედი მაქვს ასეა. ჩვენ მართლაც გასაოცარ რამეს მივაღწიეთ. ნოვაკის წარმატება დღეს საკმაოდ დამეხმარა. ფინალის წინ ჩემ თავს ვუთხარი — რახან მან შეძლო, შენც უნდა მოახერხო-მეთქი. ეს კიდევ ერთი დამატებითი მოტივაცია იყო. იმედია, ჩვენი მიღწევები სერბი ბავშვებისთვისაც მაგალითად იქცევა და სულ უფრო მეტი დაიწყებს ჩოგბურთის თამაშს.

— ოთხი კვირის თავზე კიდევ ერთი სლემტურნირის გამარჯვებულის ვინაობა გვეცოდინება. უიმბლდონის მოგებასაც შეძლებთ?

— კარგით რა, ჯერ ხომ ისევ პარიზში ვარ და მაცალეთ გამარჯვებით დატკბობა. ბალახზე ფიქრი ჯერ არც კი დამიწყია. თუმც არ დავმალავ, რომ ლონდონშიც ტიტულისთვის საბრძოლველად ჩავალ. საერთოდ, ნებისმიერ ტურნირზე მხოლოდ მოსაგებად გავდივარ კორტზე. თუმც კარგად ვიცი, რომ მიზნის მიღწევა ფრიად გამიჭირდება, რადგანაც ახლა ყველა გაორმაგებული ძალით მეთამაშება და ჩემთან საუკეთესო თვისებების გამოვლენას შეეცდება. მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ ბლომად დრო მაქვს. მომდევნო კვირას ცოტას დავისვენებ, გამოვშუშდები და მხოლოდ შემდეგ დავიწყებ უიმბლდონისთვის მზადებას.

— თქვენი მშობლების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ისინი თავად ამჯობინებენ ჩრდილში დარჩენას თუ ეს თქვენი სურვილია?

— ეს მათი არჩევანია. ისინი ყოველთვის მხარს მიჭერენ და ჩემი მთავარი გულშემატკივრები არიან, დედა კი თითქმის ყველა ტურნირზე დამყვება. თუმც ორივე ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს და ცდილობენ, მაქსიმალური თავისუფლება მომანიჭონ. ისინი არც მწვრთნელების საქმეებში ერევიან, მაგრამ მე ყოველთვის შემიძლია მათი მხარდაჭერის ანაც რჩევის იმედი მქონდეს.

— დღეს ბევრი ააღელვეთ, როცა სკამზე შეხტით და VIP-ბლოკში აძრომა სცადეთ. იქ ვინ გელოდებოდათ, ასე თავგამოდებით რომ მიიწევდით?

— ვცილობდი, მათთვის დამეძახა, რომ აძრომაში დამხმარებოდნენ, მაგრამ ყველა ერთმანეთს ეხვეოდა და ჩემთვის სად ეცალათ. ეს ხუმრობით, ისე კი, იქ ჩემი ოჯახი და ფიზმომზადების მწვრთნელი იყვნენ.

— გაგიკვირდათ ტრიბუნებზე ჟუსტინ ენინის დანახვა? და რა გითხრათ მან პრიზის გადმოცემისას?

— რა თქმა უნდა, გამიკვირდა, თუმც მესიამოვნა კიდეც, რომ ასეთი დიდი ჩემპიონი ჩემს შეხვედრას ესწრებოდა. დაჯილდოებისას კი ჟუსტინმა შემაქო და მითხრა, მოგება დაიმსახურეო. ეს ჩემთვის მართლაც ბევრს ნიშნავს.

— დღეს დინარა ისევე გამოიყურებოდა კორტზე, როგორც შარშან თქვენ ენინის წინააღმდეგ. კარგი იყო ბელგიელის ადგილას ყოფნა, როცა, მეტოქისგან განსხვავებით, ფინალში თამაშის გამოცდილება უკვე გქონდათ? ეს დაგეხმარათ მოგებაში?

— უეჭველად. კორტზე გასვლისთანავე დავინახე, რომ ჩემზე მეტად ნერვიულობდა. შარშან ჟუსტინთან წაგებამ მართლაც დიდი გამოცდილება შემძინა. ასეთ მომენტებში შენც ნერვიულობ და გავიწყდება, რომ არც მეტოქეა უკეთეს დღეში. ამჯერად ვიცოდი, რომ დინარაც ღელავდა და ეს დამეხამარა, უფრო დაკვირვებულად მეთამაშა გადამწყვეტ მომენტებში. ვფიქრობ, ამან ბევრად განაპირობა ჩემი გამარჯვება.

NBA პლეი ოფი. ფინალი

გამოიღეთ ხელები!

კობი 0:2-ის ამოღებით იმუქრება

ჯეიმს პოუზი (იატაკზე) და კევინ გარნეტი

მეორე თამაში. ბოსტონი. 8 მაისი

ბოსტონი 2:0 ლეიკერსი

ბოსტონი 108:102 ლეიკერსი

20:22 34:20 29:19 25:41

ბოსტონი: რონდო (4 ქულა, 16 პასი, 6 მოხსნა), ალენი (17), პირსი (28 ქულა, 8 პასი), გარნეტი (17 ქულა, 14 მოხსნა), პერკინსი (7); პოუი (21), პოუზი (8), ბრაუნი (6), კასელი

ლეიკერსი: ფიშერი (9), ბრაიანტი (30 ქულა, 8 პასი), რადმანოვიჩი (13 ქულა, 10 მოხსნა), ოდომი (10), გასოლი (17 ქულა, 10 მოხსნა); ფარმარი (9), ვუიჩიჩი (8), ტურიაფი (4), უოლტონი (2), არიზა

„ლეიკერსისა" და „ბოსტონის" ათწლეულობით ნანატრი სუპერ-ფინალი თანდათან ემსგავსება ამ უკანასკნელის წლევანდელ საპლეიოფი გზას. „ბოსტონი" შინაურ კედლებში „ლეიკერსთანაც" თავს ისევე მშვიდად გრძნობს, როგორც „ატლანტასთან" ანაც „კლივლენდთან" — სახლში ორივე თამაში მოიგო და „ლეიკერსის" ფავორიტობაში დარწმუნებული მილეთი უცებ გადაარწმუნა.

ბოსტონში ჩასული მეტოქის წინააღმდეგ თითქოს მთელი კელტური სამყარო აღდგება ხოლმე, „სელტიქსიც" შინ თავს უძლეველად გრძნობს და ეს რწმენა ჯერ ვერც ბრაიანტმა და მისმა რაზმმა შეურყია.

მეორე მატჩში „სელტიქსი" უფრო დამაჯერებელი იყო, განსაკუთრებით მეორე და მესამე მეოთხედებში, როცა მეტოქე ძირს დასცა და გულზე ფეხიც დააგდა („ლეიკერსი" კი წამოხტა, მაგრამ გულიდან „სელტიქსის" ნატერფალი მაინც ვერ მოიცილა). მაშინ როცა ყველა ფიქრობდა, ეს თამაშიც პირველივით თანაბარი გამოვაო, მასპინძლებმა ადრეულადვე დაჯაბნეს მეტოქე. თანაბარ ბრძოლაში მხოლოდ პირველი მეოთხედი გაილია, მეორეს დასაწყისში კი მასპინძელმა სათადარიგოებმა ისე შეუტიეს სტუმართა სამარქაფოებს, რომ ზედიზედ 10 ქულა ჩაუგდეს და წინ წასულ „ბოსტონს" უკან აღარც მოუხედია. „ლეიკერსის" თავკაცმა ფილ ჯეკსონმა მოედანზე კობი ბრაიანტი კი დაბრუნა და ამანაც უმალ ორიანი ჩააგდო, ოდნავ მოგვიანებით კი ზედიზედ ორ შეტევაში იხეირა, მაგრამ მისი გუნდი ოთხ ქულაზე ახლოს ვეღარ მიუახლოვდა მეტოქეს, 20 წუთის გასვლის შემდეგ კი სხვაობამ განუხრელად იწყო ზრდა.

ქომაგების ღრიალით გავეშებულმა „კელტებმა" ტაიმის ბოლო 4 წუთი 13:5 მოიგეს, მესამე მეოთხედში მთლად შავი დრე აყარეს ბრაიანტისიანებს და უპირატესობა კიდევ 10 ქულით გაზარდეს. არც მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მოუშვეს ლაგამი. პირს-ალენ-გარნეტის ასაკოვან სუპერტრიოს მოულოდნელად მხარი აუბა მეორეწლიანმა ფორვარდმა ლეონ პოუიმ, ასევე მეორეწლიანი გამთამაშებელი რაჯონ რონდო კი ბებრებსაც და ახალგაზრდებსაც დაუზარლად ამარაგებდა პასებით.

ბოლო მეოთხედის დაწყებიდან ოთხი წუთი გასულიყო, როცა გარნეტმა პირსის პასით ორიანი ჩააგდო და სხვაობა 24 ქულამდე „აისროლა". ბრაიანტს მანამდეც ბევრი არ უკლდა გაგიჟებას, მესამე მეოთხედში აკი ტექნიკურიც დასტყუა მსაჯს, ამ მომენტისთვის კი მთლად ბინდი გადაეკრა თვალებზე. წუთშესვენებების დროს თანაგუნდელებს აგინებდა და ასე ოდნავ მაინც მოაბრუნა ბრძოლის ველიდან გაქცეული თავისიანები. თავადაც ბრძოლის წყურვილით პირგამშრალი შებრუნდა მოედანზე და დაიწყო თავისებურები: ჯერ ორიანი ჩააგდო, შემდეგ წყვილად საჯარიმოები ჩაყარა, რადმანოვიჩს სამიანი გაასროლინა და ასე მოაბრუნა შუა თამაშიდან ლოს ანჯელესში გაქცეული „ლეიკერსი". სხვებმაც გამოიღეს შენახული ხელები, შემდეგ ისევ ბრაიანტმა ჩაყარა, იტრიალა, იწვალა, ბოლო 8 წუთში 13 ქულა გააკეთა და საფინალო სირენამდე 38 წამით ადრე წყვილი საჯარიმოც რომ გამოიყენა, აღმოჩნდა, რომ „ბოსტონს" 24-ქულიანი სხვაობიდან ორიღა შერჩენოდა — 104:102. მაგრამ ეს კი აღარ გაფლანგეს მასპინძლებმა და ტაქტიკური საჯარიმოებით გაიყვანეს დარჩენილი დრო.

ნამატჩევს ბოსტონელები კმაყოფილობდნენ, იოლად რომ დაჯაბნეს მეტოქე. მხოლოდ მათ მწვრთნელ დოკ რივერსს გაახსენდა, იმ „კარგად დაჯაბნილმა" მეტოქემ კარგადაც რომ შემოუტია და ლამის ხელიდან გააგდებინა ადრეულადვე დანადავლებული გამარჯვება. იმასაც ჩიოდა — დაცვაში საუკეთესო გუნდად ვითვლებით, მაგრამ აგერ „ლეიკერსმა" ბოლო მეოთხედში 41 ქულა ჩაგვიგდოო.

ბრაიანტი ნამატჩევს კი დამშვიდდა, ოღონდ გულიდან ბოღმა ვერ ამოიღო და შეფარულად იმუქრება. ნბა-ს ფინალების ისტორიაში სულ სამ გუნდს „ამოუღია" 0:2 ჩამორჩენა და კობი ამბობს, ჩვენ მეოთხე ვიქნებითო.

„ლეიკერსი" მასპინძლობს სერიის მესამე და მეოთხე შეხვედრას და თუ ორივე არ წააგო (რაც ნაკლებსავარაუდოა), უმასპინძლებს მეხუთესაც.

ვანო კოგბიაშვილი



სერია მეშვიდე. 1969

ბოსტონი 4:3 ლეიკერსი

საუკეთესო ვესტის ამაოება

რასელი ჩემბერლენით და 11 ჩემპიონობით წავიდა

ბილ რასელმა ჩემპიონობა არც უილტ ჩემბერლენიან „ლეიკერსს" დაანება

ბილ რასელი უნიკალური კალათბურთელია, იმდენი საჩემპიონო ბეჭედი აქვს, რომ თითებზე არ ეტევა. ყველაზე მეტად მას უკანასკნელის, მეთერთმეტის მოპოვება გაუჭირდა.

1969 წელი იდგა. რასელი 35 წლისა მოყრილიყო და ყველაფერი ისე იოლად აღარ ეძლეოდა, როგორც ძველად. ასაკიც დაეტყო — მუხლები სტკიოდა. ხანდახან საავადმყოფოშიც უწევდა ყოფნა და „სელტიქსიც" ულიდეროდ და უმწვრთნელოდ გადიოდა მოედანზე. ის საშუალოდ მხოლოდ 9,9 ქულას თუ აგროვებდა. დიდი შედეგიანობით არასდროს გამოირჩეოდა, ერთთავად 12-18 ქულას შორის მერყეობდა, მისი უზარმაზარი საკალათბურთო ნიჭი და ძალა ხომ დაცვაში ვლინდებოდა ხოლმე, მაგრამ 9,9 ქულა მაინც ძალზე ცოტა იყო ამ გოლიათისთვის. დასასრული ახლოვდებოდა. „რასს არ უთქვამს, მაგრამ ყველა ვხვდებოდით, რომ ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი სეზონი. და მას სურდა, რომ გამარჯვებული წასულიყო." — რამდენიმე წლის შემდეგ ასე გაიხსენა მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო თანაგუნდელ-შეგირდმა ბეილი ჰოუელმა იმ პერიოდის რასელი.

„ბოსტონ სელტიქსმა" კვლავ წაგო რეგულარული ჩემპიონატი, მხოლოდ მეოთხე იყო შვიდგუნდიან აღმოსავლეთში და პლეი ოფში წვალებით გავიდა, მაგრამ იქ ორი სერია მოიგო და ისევ აღმოჩნდა ფინალში, სადაც მას — გამოცნობა არც სჭირდება და — მოუთმენლად ელოდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი". ბოსტონელთაგან ექვს ფინალში ძლეული ლოსანჯელესელები კარგად მომზადებულები დახვდნენ ჩემპიონებს. ისინი უკვე ვეღარ შესჩივლებდნენ ჟურნალისტებს, რომ მეტოქეს ჩვენზე კარგი გუნდი ჰყავსო. ვესტს და ბეილორს კიდევ ერთი ლეგენდა შეუერთდა — „ლეიკერსმა" სეზონის დაწყების წინ „ფილადელფიას" ჩემბერლენი დასტყუა და პირველად გაუყვანა რასელს მძლავრი ცენტრი. თანაც მოედნის უპირატესობაც მისი იყო...

რასელი და ჩემბერლენი პირველივე შეხვედრიდან შეაწყდნენ ერთმანეთს ფარქვეშ. თამაში „გარეთ" გამოვიდა და მალე დაემსგავსა ორ სნაიპერს შორის შეჯიბრს. პირველ შეხლაში „ბოსტონის" ლიდერმა ჯონ ჰავლიჩეკმა 39 ქულა გააკეთა, „ლეიკერსის" მთავარმექანიკოსმა ჯერი ვესტმა კი 52-ს მოუყარა თავი და „ლეიკერსმა" 120:118 იძალა. მეორეში ვესტმა მოუკლო (41), ჰავლიჩეკმა კი მოუმატა (43), მაგრამ ისევ „ლეიკერსმა" მოიგო და 2:0 დაწინაურდა. მესამეც რომ მოეგო, „კელტებს" მართლა აღარაფერი ეშველებოდათ — ახლოსაც იყვნენ მარცხთან, მაგრამ ცალთვალდავსებულმა ჰავლიჩეკმა ბოლო წუთებზე წაგლიჯა გამარჯვება.

მეოთხე თამაში არანორმალურად დაძაბული გამოვიდა. „ლეიკერსი" მასაც იგებდა, დასრულებამდე 15 წამით ადრე 88:87 წინ იყო, მაგრამ ბოსტონელმა სათადარიგომ ემეტ ბრაიანტმა ბურთი ჩაჭრა და სემ ჯონსმა ალვის ხესავით ჩემბერლენს ხელებზე გადაავლო გამარჯვების მომტანი ბურთი. ანგარიში გათანაბრდა და „ლეიკერსს" ყველაფერი თავიდან გაუხდა დასაწყები. ასეთი იყო ღმერთის ნება" — აღმოხდა ჯერი ვესტს. არაფრით არ სურდა სიკვდილი „ბოსტონს".

მეხუთე შეხვედრის შემდეგ ისევ დაწინაურდა „ლეიკერსი". რასელმა (2 ქულა, 13 მოხსნა) აშკარად დათმო ჩემბერლენთან (31 ქულა, 13 მოხსნა), მაგრამ მალევე იძია შური და მეექვსე შეხვედრაში ჩემბერლენი იქით „შეამცირა" 2 ქულამდე, ხოლო მისმა გუნდმა გაუძლო ვესტის 26 ქულას და ისევ გაათანაბრა — 3:3. ეს ნერვების თამაშს უფრო გავდა, ვიდრე საკალათბურთოს. ყველაფერი სპორტულ დაპირისპირებაზე გაცილებით შორს მიდიოდა. არავის სურდა დათმობა. ვესტი მუხლის მძიმე ტრავმით თამაშობდა, ჰავლიჩეკს თვალზე ისევ ეტყობოდა სილურჯე. ერთმანეთისგან დაჟეჟილი რასელი და ჩემბერლენი თამაშების მერე ძლივს შედიოდნენ გასახდელში და არც სხვებს ულხინდათ.

მეშვიდე თამაშის მესამე მეოთხედის დამთავრებამდე აღარაფერი რჩებოდა, როცა რასელმა ჩემბერლენს ორიანიც ჩაუგდო, მეხუთე პერსონალურიც აჰკიდა და საჯარიმოც მიაყოლა. ჩემბერლენს ისე გამოევლო 10 სეზონი, რომ ერთხელაც არ გავარდნილიყო, ახლა კი ასეთი საფრთხეც დაემუქრა. მაგრამ მწვრთნელმა ვან ბრედა კოფმა დატოვა. ჩემბიმ მეოთხე მეოთხედში ფეხი იტკინა და იძულებით დაჯდა. მაგრამ „ლეიკერსმა" მაინც შეძლო 16-ქულიანი ჩამორჩენის ოთხამდე შემცირება. ჩემბერლენმა მწვრთნელს შეშვება სთხოვა, მაგრამ, დახეთ სასწაული! უარი მიიღო! „შენს გარეშეც კარგები ვართ" — მიუგო ვან ბრედამ. მისმა გუნდმა ბოლო წამებზე ორამდეც კი შეამცირა სხვაობა. მაგრამ იმ „ლეიკერსს" ბედის კარაბადინში არ ეწერა „ბოსტონის" ძლევა. შეხვედრა „ბოსტონმა" 108:106 მოიგო. ისევ იმარჯვა რასელმა და კარიერაც ასე დაასრულა, 13 სეზონში 11 ტიტულით.

ჯერი ვესტი, რომელმაც ამ მეშვიდე თამაშში 42 ქულა, 13 მოხსნა და 12 პასი გააკეთა, 1969 წლის ისტორიული ფინალის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელდა და ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, ნბა-მ საუკეთესო დამარცხებული გუნდიდან რომ ამოარჩია. მაგრამ ჩემპიონი ხომ „ბოსტონი" გახდა? ვესტის ლიდერობით ლოსანჯელესელები მაინც მოიგებენ ფინალს, ოღონდ სამი წლის შემდეგ და სულ სხვასთან დუელში, მაგრამ ამ ლეგენდარულ მოთამაშეს, რომელიც ნბა-მ თავის ლოგოზე გამოსახა, მაინც ხინჯად წაყვა ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო გუნდთან ამდენი მარცხი.

ირაკლი ფირაშვილი

სარგებელი ᲓᲐ კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		10 ივნისი						
20:00	7	ესპანეთი-რუსეთი	1.73	3.30	5.20	1.13	1.29	2.01
22:45	8	საბერძნეთი-შვედეთი	2.90	3.10	2.50	1.49	1.34	1.38
		11 ივნისი						
20:00	9	ჩეხეთი-პორტუგალია	3.90	3.20	1.95	1.75	1.29	1.21
22:45	10	შვეიცარია-თურქეთი	2.15	3.20	3.40	1.28	1.31	1.64
		12 ივნისი						
20:00	11	ხორვატია-გერმანია	4.30	3.20	1.85	1.83	1.29	1.17
22:45	12	ავსტრია-პოლონეთი	3.10	3.20	2.30	1.57	1.32	1.33
		13 ივნისი						
20:00	13	იტალია-რუმინეთი	1.75	3.30	5.00	1.14	1.29	1.98
22:45	14	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.90	3.10	2.45	1.49	1.32	1.36
		14 ივნისი						
20:00	15	შვედეთი-ესპანეთი	5.00	3.20	1.75	1.95	1.29	1.13
22:45	16	საბერძნეთი-რუსეთი	2.60	3.10	2.70	1.41	1.32	1.44
		15 ივნისი						
22:45	17	შვეიცარია-პორტუგალია	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
22:45	18	თურქეთი-ჩეხეთი	3.10	3.20	2.25	1.57	1.30	1.32
		16 ივნისი						
20:00	19	პოლონეთი-ხორვატია	3.30	3.20	2.20	1.62	1.32	1.30
22:45	20	ავსტრია-გერმანია	8.00	3.70	1.45	2.52	1.22	1.04
		17 ივნისი						
22:45	21	ჰოლანდია-რუმინეთი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
22:45	22	საფრანგეთი-იტალია	2.90	3.00	2.55	1.47	1.35	1.37
		18 ივნისი						
20:00	23	რუსეთი-შვედეთი	2.60	3.20	2.60	1.43	1.29	1.43
22:45	24	საბერძნეთი-ესპანეთი	4.30	3.20	1.85	1.83	1.29	1.17

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11007	ესპანეთი-რუსეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11008	საბერძნეთი-შვედეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11009	ჩეხეთი-პორტუგალია	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11010	შვეიცარია-თურქეთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11011	ხორვატია-გერმანია	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11012	ავსტრია-პოლონეთი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11013	იტალია-რუმინეთი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11014	ჰოლანდია-საფრანგეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11015	შვედეთი-ესპანეთი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11016	საბერძნეთი-რუსეთი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11017	შვეიცარია-პორტუგალია	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11018	თურქეთი-ჩეხეთი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11019	პოლონეთი-ხორვატია	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11020	ავსტრია-გერმანია	10.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	1.90
11021	ჰოლანდია-რუმინეთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11022	საფრანგეთი-იტალია	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11023	რუსეთი-შვედეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11024	საბერძნეთი-ესპანეთი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60

ჰანდიკაპი

		1	X	2
25007	ესპანეთი-რუსეთი 0:1	3.00	3.40	2.00
26007	ესპანეთი-რუსეთი 0:2	5.80	4.80	1.30
27007	ესპანეთი-რუსეთი 1:0	1.14	5.80	10.00
25008	საბერძნეთი-შვედეთი 1:0	1.45	4.10	5.30
26008	საბერძნეთი-შვედეთი 0:1	5.80	4.10	1.38

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10007	ესპანეთი-რუსეთი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10008	საბერძნეთი-შვედეთი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10009	ჩეხეთი-პორტუგალია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10010	შვეიცარია-თურქეთი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10011	ხორვატია-გერმანია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10012	ავსტრია-პოლონეთი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10013	იტალია-რუმინეთი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10015	შვედეთი-ესპანეთი	4.90	2.10	2.10	1.47	1.47	1.04
10016	საბერძნეთი-რუსეთი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10017	შვეიცარია-პორტუგალია	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10018	თურქეთი-ჩეხეთი	3.80	2.00	2.35	1.31	1.45	1.08
10019	პოლონეთი-ხორვატია	4.10	2.00	2.30	1.34	1.47	1.06
10020	ავსტრია-გერმანია	7.00	2.50	1.55	1.84	1.26	1.00
10021	ჰოლანდია-რუმინეთი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10022	საფრანგეთი-იტალია	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10023	რუსეთი-შვედეთი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10024	საბერძნეთი-ესპანეთი	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04

ზუსტი ანგარიში

47007	ესპანეთი-რუსეთი	1:1	7.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	1:0	6.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	0:2	20.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	0:1	9.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	2:0	6.50
47007	ესპანეთი-რუსეთი	2:3	40.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	3:0	12.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	0:3	60.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	2:1	7.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	1:2	12.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	3:1	10.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	3:2	25.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	0:0	8.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	2:2	15.00
47007	ესპანეთი-რუსეთი	1:3	50.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	3:1	25.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	1:3	22.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	0:1	6.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	0:2	10.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	2:2	14.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	1:2	8.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	0:3	25.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	2:3	25.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	1:1	5.50
47008	საბერძნეთი-შვედეთი	1:0	7.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	2:0	12.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	3:0	35.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	3:2	30.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	0:0	7.00
47008	საბერძნეთი-შვედეთი	2:1	8.00

II ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19007	ესპანეთი-რუსეთი	2.00	2.40	4.50	1.09	1.38	1.56
19008	საბერძნეთი-შვედეთი	3.10	2.30	2.70	1.32	1.44	1.24

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

რომელ ტაიმში იძნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

		I-ში	თანაბრად	II-ში
40007	ესპანეთი-რუსეთი	2.10	3.90	1.80
40008	საბერძნეთი-შვედეთი	2.10	3.90	1.80

ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

		1	2
33007	ესპანეთი-რუსეთი	2.00	1.60
33008	საბერძნეთი-შვედეთი	1.70	1.90

პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
22007	ესპანეთი-რუსეთი 1,5	1.25	2.50
22008	საბერძნეთი-შვედეთი 1,5	1.25	2.50

ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
34007	ესპანეთი-რუსეთი 4,5	1.90	1.70
34008	საბერძნეთი-შვედეთი 4,5	1.80	1.80

კუთხურები: წყვილი-1 თუ კენტი-2(ძირ დრო)

		1	2
48007	ესპანეთი-რუსეთი	1.85	1.85
48008	საბერძნეთი-შვედეთი	1.85	1.85

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12007	ესპანეთი-რუსეთი 2,5	1.60	2.00
12008	საბერძნეთი-შვედეთი 2,5	1.55	2.30
12009	ჩეხეთი-პორტუგალია 2,5	1.70	1.90
12010	შვეიცარია-თურქეთი 2,5	1.70	1.90
12011	ხორვატია-გერმანია 2,5	1.70	1.90
12012	ავსტრია-პოლონეთი 2,5	1.70	1.90
12013	იტალია-რუმინეთი 2,5	1.55	2.30
12014	ჰოლანდია-საფრანგეთი 2,5	1.55	2.10
12015	შვედეთი-ესპანეთი 2,5	1.60	2.00
12016	საბერძნეთი-რუსეთი 2,5	1.60	2.00
12017	შვეიცარია-პორტუგალია 2,5	1.70	1.90
12018	თურქეთი-ჩეხეთი 2,5	1.70	1.90
12019	პოლონეთი-ხორვატია 2,5	1.70	1.90
12020	ავსტრია-გერმანია 2,5	2.10	1.60
12021	ჰოლანდია-რუმინეთი 2,5	1.60	2.00
12022	საფრანგეთი-იტალია 2,5	1.50	2.40
12023	რუსეთი-შვედეთი 2,5	1.60	2.00
12024	საბერძნეთი-ესპანეთი 2,5	1.60	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15007	ესპანეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15008	საბერძნეთი-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15009	ჩეხეთი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15010	შვეიცარია-თურქეთი	3.00	2.80	2.00
15011	ხორვატია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15012	ავსტრია-პოლონეთი	3.00	2.80	2.00
15013	იტალია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15016	საბერძნეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15017	შვეიცარია-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15018	თურქეთი-ჩეხეთი	3.00	2.80	2.00
15019	პოლონეთი-ხორვატია	3.00	2.80	2.00
15020	ავსტრია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15021	ჰოლანდია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15022	საფრანგეთი-იტალია	3.00	2.80	2.00
15023	რუსეთი-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15024	საბერძნეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00

ვინ დაიწყებს თამაშს

		1	2
31007	ესპანეთი-რუსეთი	1.90	1.90
31008	საბერძნეთი-შვედეთი	1.90	1.90

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
20007	ესპანეთი-რუსეთი 10,5	1.70	1.90
20008	საბერძნეთი-შვედეთი 10,5	1.70	1.90

თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

		ნაკ.	მეტ.
36007	ესპანეთი-რუსეთი 5,5	1.80	1.80
36008	საბერძნეთი-შვედეთი 5,5	1.80	1.80

იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

		კი	არა
21007	ესპანეთი-რუსეთი	3.00	1.20
21008	საბერძნეთი-შვედეთი	3.00	1.20

პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

		ნაკ.	მეტ.
24007	ესპანეთი-რუსეთი 4,5	2.00	1.60
24008	საბერძნეთი-შვედეთი 4,5	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13007	ესპანეთი-რუსეთი	1.70	1.90
13008	საბერძნეთი-შვედეთი	1.70	1.90
13009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.70	1.90
13010	შვეიცარია-თურქეთი	1.70	1.90
13011	ხორვატია-გერმანია	1.70	1.90
13012	ავსტრია-პოლონეთი	1.70	1.90
13013	იტალია-რუმინეთი	1.70	1.90
13014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.70	1.90
13015	შვედეთი-ესპანეთი	1.90	1.70
13016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.90
13017	შვეიცარია-პორტუგალია	1.70	1.90
13018	თურქეთი-ჩეხეთი	1.70	1.90
13019	პოლონეთი-ხორვატია	1.70	1.90
13020	ავსტრია-გერმანია	1.90	1.60
13021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.70	1.90
13022	საფრანგეთი-იტალია	1.70	1.90
13023	რუსეთი-შვედეთი	1.70	1.90
13024	საბერძნეთი-ესპანეთი	1.70	1.90

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16007	ესპანეთი-რუსეთი	1.24	3.60
16008	საბერძნეთი-შვედეთი	1.85	1.80
16009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.10	1.60
16010	შვეიცარია-თურქეთი	1.50	2.30
16011	ხორვატია-გერმანია	2.10	1.60
16012	ავსტრია-პოლონეთი	2.10	1.60
16013	იტალია-რუმინეთი	1.30	3.00
16014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.05	1.65
16015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	1.30
16016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.95
16017	შვეიცარია-პორტუგალია	2.20	1.50
16018	თურქეთი-ჩეხეთი	2.30	1.45
16019	პოლონეთი-ხორვატია	2.45	1.40
16020	ავსტრია-გერმანია	5.70	1.11
16021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.40	2.55
16022	საფრანგეთი-იტალია	2.05	1.65
16023	რუსეთი-შვედეთი	1.95	1.65
16024	საბერძნეთი-ესპანეთი	2.90	1.32

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

		1	2
32007	ესპანეთი-რუსეთი	1.60	2.20
32008	საბერძნეთი-შვედეთი	1.90	1.70

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

39007	ესპანეთი-რუსეთი კი	3.10
39008	საბერძნეთი-შვედეთი კი	3.10

გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

49007	ესპანეთი-რუსეთი კი	3.70
49008	საბერძნეთი-შვედეთი კი	3.70

პირველ ტაიმში იძნება შეცვლა

43007	ესპანეთი-რუსეთი კი	3.50
43008	საბერძნეთი-შვედეთი კი	3.50

მეკარე შეიცვლება (ძირ. დრო)

45007	ესპანეთი-რუსეთი კი	6.00
45008	საბერძნეთი-შვედეთი კი	6.00

იძნება გაძევება(ძირ. დრო)

37007	ესპანეთი-რუსეთი კი	3.30
37008	საბერძნეთი-შვედეთი კი	3.30

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17007	ესპანეთი-რუსეთი	1.85	1.95
17008	საბერძნეთი-შვედეთი	1.85	1.95
17009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.85	1.95
17010	შვეიცარია-თურქეთი	1.85	1.95
17011	ხორვატია-გერმანია	1.85	1.95
17012	ავსტრია-პოლონეთი	1.85	1.95
17013	იტალია-რუმინეთი	1.85	1.95
17014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.85	1.95
17015	შვედეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95
17017	შვეიცარია-პორტუგალია	1.85	1.95
17018	თურქეთი-ჩეხეთი	1.85	1.95
17019	პოლონეთი-ხორვატია	1.85	1.95
17020	ავსტრია-გერმანია	1.85	1.95
17021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.85	1.95
17022	საფრანგეთი-იტალია	1.85	1.95
17023	რუსეთი-შვედეთი	1.85	1.95
17024	საბერძნეთი-ესპანეთი	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14007	ესპანეთი-რუსეთი	1.45	2.40
14008	საბერძნეთი-შვედეთი	1.90	1.90
14009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.00	1.80
14010	შვეიცარია-თურქეთი	1.75	2.10
14011	ხორვატია-გერმანია	2.00	1.80
14012	ავსტრია-პოლონეთი	2.00	1.80
14013	იტალია-რუმინეთი	1.65	2.30
14014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.95	1.85
14015	შვედეთი-ესპანეთი	2.30	1.65
14016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95
14017	შვეიცარია-პორტუგალია	2.00	1.80
14018	თურქეთი-ჩეხეთი	2.10	1.75
14019	პოლონეთი-ხორვატია	2.20	1.70
14020	ავსტრია-გერმანია	2.60	1.20
14021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.70	2.20
14022	საფრანგეთი-იტალია	1.95	1.85
14023	რუსეთი-შვედეთი	1.90	1.90
14024	საბერძნეთი-ესპანეთი	2.20	1.70

რატომ არ იღიმებიან აზიელები?

აი, ამერიკაშიც დაუწყიათ: დევიდ ბექემმა აღიარა, რომ იმ დღეს გვარიანად შეეშინდა. საქმე ასე გახლდათ: „ლოს ანჯელეს გალაქსიმ" „კოლორადოს" 3:2 მოუგო, რამაც ძალიან გაახარა ერთი ქომაგი კაცი, რომელმაც ისკუპა და ტრიბუნიდან პირდაპირ მოედანზე ჩახტა.

უფრო სწორად, აზიური გარეგნობის ადამიანი მოედანზე რომ ჩახტა და ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანთან მიიჭრა, ანგარიში ჯერ 3:1 იყო. შავმაისურიანმა ფანმა ჩვენს ბექზს ჯერ გამარჯვების სალამი უთხრა, შემდეგ კი წამით მკერდშიც ჩაიკრა. ამის დანახვაზე ინგლისელი ვარსკვლავის თანაგუნდელმა მცველმა კრის კლაინმა იყოჩაღა, გადმომხტარს ეცა და შებოჭა.

მოგვიანებით ბექემი ამ ისტორიას ჟურნალისტებს ასე უყვებოდა:

„იმ კაცს პირველად რომ მოვკარი თვალი, მართალი გითხრათ, შეშეშინდა, რადგან არ იღიმებოდა და ტანზე „ლოს ანჯელეს გალაქსის" მაისურაც არ ეცვა. საიდან უნდა მცოდნოდა, ჩემს გულში ჩასახუტებლად მორბოდა, თუ რამე სხვა განზრახვა ჰქონდა. საბედნიეროდ, მას თურმე მხოლოდ მოსალმება სდომებია და სულ ეს იყო".

და ორი სიტყვით ამ ამერიკული და ჩვენთვის, ალბათ, ნაკლებად საინტერესო მატჩის შესახებაც ვთქვათ. თამაშის მსვლელობისას ვითარება კიდევ ერთხელ მაშინ დაიძაბა, როდესაც მსაჯმა აქეთ „გალაქსის" გაუგდო კაცი და იქით „კოლორადოს". თუ მათი გვარები რამეს გეუბნებათ, გაძევებულთაგან ბექემის თანაგუნდელი იყო ალან გორდონი, ხოლო მეტოქე, ფაკუნდო ერპენი.

ლოსანჯელესელთა თავკაცი რუუდ გულიტი:

„მწვრთნელისთვის ეს თამაში საშინელება იყო, ნამდვილი საგიჟეთი. როგორია, თან ფეხბურთელი გაგიგდონ და თან მოედანზე ფანი გადმოხტეს. მეორე მხრივ, კიდევ არა უშავს, 3:0-ის შემდეგ 3:3 რომ არ დავამთავრეთ".

პაპუნა კედია

გადაწყდა: ალვეში და ბარსელონა



დანიელ ალვეში

დანიელ ალვეში შეგვიძლია, უკვე „ბარსელონას" ფეხბურთელად ჩავთვალოთ. კატალონიელებმა „სევილიასთან" შეთანხმებას მიაღწიეს და ტრანსფერი ოფიციალურად დღეს-ხვალ გაფორმდება.

„ბარსა" „სევილიას" ბოლო წლებში პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეში 29,5 მილიონ ევროს გადაუხდის, მაგრამ მომავალი 4 წლის განმავლობაში ეს თანხა, ალბათ, კიდევ საგრძნობლად გაიზრდება.

შეთანხმების თანახმად, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში რამდენჯერაც „ბარსელონა" ოთხეულში მოხვდება, კატალონიელებმა „სევილიას" იმდენჯერ 750 ათასი ევრო უნდა გადაუხადონ. ხოლო, თუ „ბარსა" ესპანეთის ჩემპიონი, თასის მფლობელი ან ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდება, კიდევ თითო მილიონის გადახდა მოუწევს.

ერთი სიტყვით, მაქსიმალური წარმატების შემთხვევაში, „ნოუ კამპის" ბინადრებს დამატებით 6 მილიონის გადახდა მოუწევთ სევილიელთათვის.

25 წლის ბრაზილიელი „ბარსელონას" ტრანსფერების ისტორიაში მესამე ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება მარკ ოვერმარსისა და ხავიერ საციოლის შემდეგ.

„ჩემს მომავალ მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლასთან ჯერ არ მისაუბრია. მას ვუსურვებ, ისეთივე წარმატებას მიაღწიოს მწვრთნელის რანგში, როგორ წარმატებასაც ფეხბურთელობისას მიაღწია. ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, რომ კლუბებმა შეთანხმებას მიაღწიეს და ისეთ დიდ გუნდში ვითამაშებ, როგორიც „ბარსელონაა". ახლა დამატებითი მოტივაცია მექნება, ვიცი, რომ ჩემი წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვიმუშავებ და ვეცდები, თავი მაქსიმალურად კარგად წარმოვაჩინო. ამბიციური ადამიანი ვარ და იმედია, „ბარსელონასთან" ერთად, მრავალ ტიტულს მოვიგებ. ვფიქრობ, კატალონიელები სწორად მიუდგნენ თავიანთ პრობლემებს და დაცვას აძლიერებენ" — განაცხადა ალვეშმა.

გიორგი ძაძაბაძე

შეწყვეტილი პრდადეგები

„ჩელსის" სამუელ ეტოოს შეძენა უნდა — „ლურჯებს" კამერუნელ ფორვარზე გული ადრეც მიუდიოდათ, მაგრამ მას მერე, რაც „მილანს" დიდი დროგბას დაჰპირდნენ, ხელები უკვე სხვანაირად დაიკაპიწეს.

შეგახსენებთ, ლონდონელები დროგბას 18 მილიონ გირვანქად ჰყიდიან, რაც დოლარებში 35,45 მილიონია, ხოლო ევროებში 22,53 მილიონი.

და პრობლემა რაღაა?

პრობლემა „ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუა — „განსაკუთრებული" სულ ახლახან „ინტერს" ჩაუდგა სათავეში და ეტოო თავისთვის უნდა.

მოკლედ, მეტად დახლართული საქმის მოწმენი ვხდებით: „ჩელსი" ეტოოში 22 მილიონ გირვანქას (15 მილიონი ევრო) იხდის, ხელფასად კვირაში 110 ათასს ჰპირდება და ამ ყველაფერს „მილანთან" ვაჭრობასაც აბამს — თუ გინდათ, დროგბა მართლა თქვენი გახდეს, ეტოოზე ხმას თქვენ მაინც ნუ ამოიღებთო.

და ამას ემატება ისევ „მილანის" გასაგონად გაკეთებული განცხადება: ანდრეი შევჩენკო არ იყიდება.

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი:

„მე ველაპარაკე პიტერ კინიონს და მან დროგბასთან მოლაპარაკების ნება დამრთო, მაგრამ, იმავდროულად, ლონდონელები შევჩენკოს დაბრუნების ნებას აღარ გვრთავენ".

მაგრამ, ის, რომ დროგბას „მილანი" იყიდის, აღშფოთებს მაურინიუს, რომელიც ახლა უკვე ყველა ღონეს იხმარს ეტოო რომ ჩაიგდოს ხელში.

ისე, ეტოოს ყიდვა თურმე „ტოტენჰემ ჰოთსპურსაც" სდომებია.

თუმცა არის კიდევ ერთი გეგმა, „ჩელსის" ვალენსიადან დავიდ ვილიას შეძენაც უფორიაქებს გონებას.

და რას აკეთებს ამ აურზაურში დიდიე დროგბა? ამერიკაში ისვენებს ოჯახთან ერთად, თუმცა არდადეგების შემცირება და მილანში ჩაფრენა რომ მოუწევს ეს უკვე ნაღდია.

პაპუნა კედია

სამუელ ეტოო

ქორქმაზი აინტრახტში

ავსტრიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი უმით ქორქმაზი ვენის „რაპიდიდან" გერმანულ „აინტრახტში" გადავიდა. მან ფრანკფურტელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

სხვათა შორის, ქორქმაზი ხორვატიასთან ევროპის ჩემპიონატის მატჩში შეცვლაზე შეუშვეს მინდორზე და მან ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. გასულ სეზონში ქორქმაზმა „რაპიდის" მაისურით ავსტრიის ჩემპიონატში 31 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

საჩუქარი გარნეტს

„ბოსტონ სელტიქსის" ლიდერ კევინ გარნეტს, რომელიც თავის გუნდთან ერთად ნბა-ს მოგებასთან ახლოს არის, კალათბურთის გარდა ფეხბურთიც უყვარს და გულშემატკივრად გვევლინება. ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ მან „ჩელსის" და კერძოდ, დიდიე დროგბას წარმატებები უსურვა. ახლა კი ლონდონიდან საჩუქარი მიიღო — „ჩელსის" ხუთნომრიანი მაისურა, რომელსაც მისი გვარი აწერია. მაისურა ჟურნალისტების თანდასწრებით გადასცეს, გარნეტმა პრეზენტი სიამოვნებით მიიღო და იქვე მოიზომა.

ამჟამინდელი მატჩები

ჰონდურასი 3:1 ჰაიტი
აშშ 0:0 არგენტინა
მექსიკა 0:0 პერუ

არგენტინა

კლაუსურა
XVIII ტური
ლანუსი 1:3 ბოკა ხუნიორსი

ბრაზილია

სერია A, V ტური
ბოტაფოგო 2:1 კურიტიბა
კრუზეიროუ 1:0 ვასკუ
ვიტორია 1:0 სანტოსი

აშშ

მეიჯორლიგა, XII ტური
ჰიუსტონი 3:1 ტორონტო

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, გის გულშემატკივრობთ და რატომ– შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com





ფერგი, რონალდუ და შავი კატა

როგორც The News Of The World იუწყება, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს უკვე სერიოზულად ეშინია, რომ მადრიდის „რეალი“ კრიშტიანუ რონალდუს წაიყვანს. ასეთი შიშის საფუძველს სერ ალექსს, თურმე, პორტუგალიელი ყმაწვილის ბოლოდროინდელი ქცევა აძლევს.

დავაზუსტოთ: ამასწინათ, რონალდუმ განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლა სურს, რამაც ფერგიუსონი ბუნებრივია, შეაშფოთა და ყველაფრის თავად ფეხბურთელთან გადამოწმება გადაწყვიტა, მაგრამ ვაგლახ, ფეხბურთელმა ყურმილი ერთხელაც არ აიღო.

ხომ წარმოგიდგენიათ? ისეთი დიდი ფიგურა, როგორიც ალექს ფერგიუსონია, თავის ფეხბურთელს ურეკავს, ის კი ტელეფონზე არ პასუხობს... როგორც სერ ალექსთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ, უნდა ჩავთვალოთ, რომ მწვრთნელსა და ვარსკვლავს შორის შავმა კატამ უკვე გაირბინა, რაც იმას ნიშნავს, რომ რონალდუს მანჩესტერული ეპოქა დასასრულს უახლოვდება.

ალექს ფერგიუსონთან დაახლოებული პირი:

„ალექსი საფრანგეთში ისვენებს, საიდანაც ფაქტობრივად განუწყვეტლად ურეკავდა რონალდუს. ის ამბობდა, რომ მას აუცილებლად უნდა დაელაპარაკოს, მაგრამ ერთხელაც ვერ მოიხელთა. ალექსი რონალდუს ტელეფონზე მესიჯს მესიჯზე ტოვებდა, მაგრამ ფეხბურთელი შეუვალი გახლდათ. ერთხელაც არ გადმოურეკა. ერთი სიტყვით, ამიერიდან მათ ურთიერთობებში სრული ჩავარდნაა. ფერგი გაცეცხლებულია, ერთი მხრივ იმიტომ, რომ რონალდუმ ტელეფონის არაღება აკადრა და მეორე იმიტომ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაპატრონე გლეიზერებმა უთხრეს, თუ რონალდუ „რეალში“ გაგექცევა, თანამდებობიდან მოგხსნითო. რასაკვირველია, კლუბი ყველა ღონეს ხმარობს პორტუგალიელი რომ შეინარჩუნოს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფერგი ამ ბრძოლას აგებს“.

არადა, რა უცნაურია: „იუნაიტედი“ „ნაიკთან“ სპონსორული ხელშეკრულების წყალობით უპრეცედენტო ნაბიჯს დგამდა, რონალდუს მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცევდა — კვირაში 200 ათასი გირვანქა უნდა დაენიშნა.

ცნობისთვის: „იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი დევიდ ჰილიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ამაოდ ცდილობს რონალდუს აგენტთან, ჟორჟე მენდეშთან დარეკვას.

პაპუნა კედია

ამაურიმ იტალია აირჩია

ტურინის „იუვენტუსის“ ახალგამომცხვარმა ფორვარდმა ამაურიმ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ იტალიის ნაკრებში ითამაშებს და არა ბრაზილიისაში. აპენინური ფესვების მქონე თავდამსხმელისთვის იტალიური პასპორტის მიცემას წინ აღარაფერი უდგას და ევრო 2008-ის მერე, მას ალბათ „სკუადრა აძურას“ მაისურით ვიხილავთ.

„არ ვიცი, რამე შეიცვლება თუ არა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის კარლოს დუნგასთვის, როცა „იუვენტუსის“ ფეხბურთელი გავხდი. სამწუხაროა, რომ ყურადღებას არ მაქცევს, არადა, მგონი ეს დავიმსახურე. მართალია, რომ ჩემთვის პრიორიტეტული ბრაზილია გახლდათ, მაგრამ იტალიის მაისურით არანაკლებ სიამოვნებით ვითამაშებ. „სკუადრა აძურას“ თავკაცმა რობერტო დონადონიმ ჩემზე დადებით კონტექსტში ილაპარაკა, მსგავსი რამეები დუნგას არასოდეს უთქვამს. ბრაზილია ოცნებად რჩება, იტალია კი ფანტასტიკური რეალობაა. დიდი სიხარულითა და სიამაყით ვითამაშებდი ევრო 2008-ზე, იტალიის მოქალაქეობა ერთი თვით ადრე რომ მიმეღო. ვფიქრობ, დონადონი გამომიძახებდა.

შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურაში“ უკვე თამაშობს ერთი „ორიუნდი“, ასევე იუვენტუსელი მაურო კამორანეზი, რომელიც არგენტინაშია დაბადებული.

„იმედია, რომ სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებ. მე და ლუკა ტონი თავდასხმაში ცუდი წყვილი არ ვიქნებით, არა? ვქომაგობ თუ არა იტალიას ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე? ცხადია! ვიმედოვნებ, ალესანდრო დელ პიერო ან ტონი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდება“ — დასძინა ამაურიმ.

კოკი კანდელაკი

პინ, ცვპი, პოლიცპი

ავსტრიის პოლიციამ, კვირას, 197 გულშემატკივარი დააკავა, მეტწილად გერმანელები. ეს ამბავი კლაგენფურტში მოხდა, სადაც ერთმანეთს ძველი და ერთმანეთის ჯიბრის მქონე მეტოქეები, გერმანია და პოლონეთი შეხვდნენ.

კლაგენფურტის პოლიციის პრეს-მდივანი: „სახიფათო თავდასხმების, ადმინისტრაციული დანაშაულებისა და სხვა ქმედებების გამო 200 კაცამდე დავიჭირეთ. მართალია, მათი ვინაობის დადგენა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მაინც გადაწყვეტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი უმეტესობა გერმანელია“.

როგორც ირკვევა, ეს ხალხი სამართალდამცველებს სპონტანურად და ერთი ხელის მოსმით სულაც არ მოუხვეტიათ. თურმე, ავსტრიელი და გერმანელი პოლიციელები კარგა ხანს მუშაობდნენ ფანების პიროვნებათა დადგენაზე. წინასწარვე ჰქონიათ ხულიგნობით ცნობილი ქომაგების გვარები და გეგმის მიხედვით უმოქმედიათ კიდეც.

მეტსაც გეტყვით, კვირას დილით პოლიციელებმა ხულიგანი ბიჭები წინასწარაც კი გააფრთხილეს, იცოდეთ, კარგად ვიცით, რა შვილებიცა ბრძანდებით და არ გატოკდეთ, თორემ საღამოთი დაგიჭერთო.

ცნობისათვის: კლაგენფურტი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქთა შორის ყველაზე პატარაა და მასში უსაფრთხოებას 2 500 პოლიციელის გარდა 70 საგანგებო ადამიანი იცავს, რომელთაც პირობითად „ხულიგნებზე მონადირენი“ შეგვიძლია დავარქვათ.

გერმანელი და პოლონელი ქომაგების ჩხუბზე ავსტრიულ პრესას 2006 წლის ამბები გაახსენდა. მოგეხსენებათ, ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატს გერმანიამ უმასპინძლა და იქ, ქალაქ დორტმუნდში პოლიციამ 400 კაცი დაიჭირა.

პაპუნა კედია

გერმანული პოლონეზი



პოლონეთში დაბადებულმა პოლონელმა ლუკაშ პოდოლსკიმ პოლონეთის ნაკრებს კვირას ორი გოლი გაუტანა და გერმანიას პირველი სამი ქულა მოუპოვა — ასე დასრულდა გერმანელების თორმეტი წელიწადი ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების გარეშე.

დიახ, ნუ გაიკვირვებთ. გერმანელებს არც ევრო 2000-ზე მოუგიათ თამაში და არც ევრო 2004-ზე. 2000-ში მათ რუმინეთთან ითამაშეს 1:1, ინგლისთან და პორტუგალიასთან კი წააგეს (0:1 და 0:3), ხოლო 2004-ში ჰოლანდიასთან და ლატვიასთან ითამაშეს ფრედ, ხოლო ჩეხეთთან კი წააგეს, ასე რომ, კვირა საღამოს გამარჯვება მრავალმხრივ იყო საინტერესო და, ბედის ირონიით, ის გერმანელებმა პოლონელებისავე ხელით მოიპოვეს — ზემოთ ნახსენებ პოდოლსკის პირველი გოლი, მასავით პოლონელმა ემიგრანტმა, მიროსლავ კლოზემ გაატანინა — ამ დღის შემდეგ გერმანელების უპირატესობა პოლონელებთან უკვე ზედიზედ 16 შეხვედრაში მხოლოდ მოგებებსა და ფრეებში გამოიხატება.

ასე და ამგვარად, გერმანიამ პოლონეთს კვლავ მოუგო და მატჩის გმირად პოდოლსკი დაასახელეს, ოღონდ რაა გასაკვირი, რომ ჟურნალისტებისათვის ის უფრო თავისი პოლონელობით გახდა საინტერესო, ვიდრე უბრალოდ კარგი თამაშით.

„თამაშის საუკეთესო ფეხბურთელობა ჩემთვის არაფერს ნიშნავს. მთავარია, რომ კარგად ვითამაშეთ და პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ — განაცხადა პოდოლსკიმ და მერე განმარტა, თუ რატომ არ გამოხატა გოლების გატანის შემდეგ დიდი სიხარული — მე პოლონელი გახლავართ, დიდი ოჯახი მყავს და ეს ქვეყანა ჩემი გულის ნაწილია“.

პოდოლსკი გერმანიის ნაკრების თავკაცმა იოაჰიმ ლიოვმაც შეაქო:

„ლუკაშს საუცხო დარტყმა აქვს. თუ ის დარტყმისთვის მომენტს და სივრცეს იხელთებს, მისი შეჩერება უკვე ნებისმიერ მეკარეს უჭირს. ნაკრებში პოდოლსკი ყოველთვის ძლიერად გამოდის, თუმცა ასევე ძლიერად „ბაიერნშიც“ რომ არ გამოდიოდეს, ეროვნულ გუნდში არ ავიყვანდით. მერედა, მას მოედნის სიღრმეში დახევა და იქიდან შეტევაც შეუძლია, რაც დღეს თვალსაჩინოდ დაადასტურა კიდეც“.

შემდეგ ლიოვმა საკუთარ ეჭვებზეც ილაპარაკა:

„მე, როგორც მწვრთნელი, საკმაოდ ვღელავდი, რადგან არ ვიცოდი, როგორ იყო გუნდი მომზადებული. ჩემპიონატამდე სამი კვირა გუნდი ჩემს განკარგულებაში კი იყო, მაგრამ მისი ძალის რეალური შემოწმების საშუალება არ მქონდა. საბედნიეროდ, ჩვენ ერთსულოვნება გამოვამჟღავნეთ. მიზნად პირველი თამაშის აუცილებელი მოგება გვქონდა დასახული და მივაღწიეთ კიდეც. ვფიქრობ, დღეს გამოჩნდა, რომ თამაშზე სრულად ვიყავით კონცენტრირებულნი, ვითამაშეთ დაჟინებით და პირველ ტაიმში საკმაოდ კარგი კომბინაციებიც ჩავატარეთ“.

პოლონელთა თავკაცმა ლეო ბენჰაკერმა კი შეხვედრა ასე შეაფასა:

„პირველი 70 წუთის განმავლობაში გერმანელებს მეტ-ნაკლებად ტოლს არ ვუდებდით, ბოლო 20 წუთი კი უბრალოდ უნდა დავივიწყოთ“.

პაპუნა კედია

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— უეჭველი კუში მინდა და დღეს რა ჩავწერო ბილეთში?

— შენი სახელი და გვარი ჩაწერე, მარა ისეთი თარსი ხარ, მაგასაც ვერ გამოიცნობ.

— მე ვარ თარსი, ტო? შენ არ იყავი, კვირას ალონსო და ჰემილტონი წყვილად რო აიღე? ტიპები ნიტო შტო რბოლას გამოეთიშნენ, ტრასიდან გაქრნენ და მთელი კანადა ეძებს.

— ნიტოშტოზე გამახსენდა, დღეს ესპანეთის ერთიანი არა გგონია რუსეთთან?

— შანსი არაა.

— რატო? რამე ინფორმაცია გაქ?

— რატო და ფუტბოლებს არ უყურებ?

— მერე?

— მერე ისა, რო ჯერ არცერთი თამაში არ გატეხილა. ხალხმა ამდენი ფული წაიღო და უკან ხო უნდა მიატანინონ. ყველაზე მაგრა ესპანეთის ერთიანი იგრუზება და იმენა ეს უნდა ჩატეხონ.

—რატო აიჩემებ ხოლმე, ეგეთ სიბნელეებს, ესპანეთი ხო რუსეთზე იავნად მაგარი გუნდია და რა პონტში გატყდება?

— გაზპრომის პონტში. ესპანეთს გაზპრომის ვალი აქ გადასახდელი და აი ნახავ, თუ არ დაუწვეს.

— შენ იმასაც ამბობდი, გერმანია პოლონეთს თამაშს მისცემსო, მარა...

— აბა, შენა ხარ, რა! ეგ იმიტო გითხარი რო გაგებაზრებინა. ისიც არ იცი, უეფა ჩემპიონატს ორ ქვეყანაში რატო ატარებს.

— რატო?

— იმიტო რო შენნაირები გაატყავონ. ორი მასპინძლის აძინიქსები დაგაწერინონ და ორივე გატეხონ. ეხლა ხო მოხვედი აზრზე. შვეიცარიის აძინიქსზე დადექი ჩეხეთთან და აგაფცქვნეს ასი დოლარი.

ერთმა მასპინძელმა რო გატეხა, მერე ორასი დოლარი ავსტრიის აძინიქსზე შეხვედი და კიდე იყომარეს. მოწვი? ამიტოა ორმასპინძლიანი ჩემპიონატი თორე, შენა გგონია უეფას ფეხბურთი ადარდებს?

ყველაფერი წინასწარ არი დაწერილი, ძმაო, შენ რო აქ ქვითარში საფრანგეთი-რუმინეთის ნაკლებს წერ, იქ უკვე იციან რა ჩაჯღაბნე და ანკესზე ხარ.

— წელან მეუბნებოდი არცერთი თამაში არ გატეხილაო, ეხლა პროტივზე დადექი და ამბობ, რო შვეიცარიამ და ავსტრიამ წყვილად გატეხესო. შენ რო კაცმა გისმინოს, ეგრე ისიც ჩაწყობილი გამოვა, რო დედამიწა მრგვალია და ბრუნავს.

— ეგრე არარი, რო?

კუზი კოზმარია

ჩემი ბილეთი:
001 ესპანეთი-რუსეთი
შედეგი: ლუჟკოვი ბასკეთის და კატალონიის დამოუკიდებლობას აღიარებს
სავარაუდო მოგება: მოსკოვის მერობა
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ ვინ გახდა ბენინი-უგანდას მატჩის საუკეთესო მოთამაშე

114140 *

შტრანცლი ვიღაცას ეჩივის

ავსტრიის ნაკრებმა-მოსალოდნელზე ბევრად უკეთ ითამაშა და ცოტა რომ გამართლებოდა, ხორვატიასთან არც ნააგებდა. ევრო 2008-ის თანამასპინძელთა ერთ-ერთი ლიდერი მოსკოვის „სპარტაკის" მცველი მარტინ შტრანცლია

— სამწუხაროდ, მოსალოცი არაფერია.

— დიახ, შედეგით ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. წავაგეთ, მაგრამ მომენტები გვქონდა და თავისუფლად შეგვეძლო მარცხის თავიდან აცილება. დასანანია, რომ ეს ვერ შევძელით, ახლა მომავალ ორ მნიშვნელოვან მატჩზე უნდა ვიფიქროთ.

— მეორე ტაიმში მართლაც საკმაოდ ბევრი მომენტი გქონდათ და რატომ ვერ გამოიყენეთ ისინი?

— ეს ფეხბურთია, ხან გაგიმართლებს, ხან არა. ვფიქრობ, ძალიან კარგად ვითამაშეთ და ამ მხრივ კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ახლა მთელი იმედი და ყურადღება გერმანიისა და პოლონეთის ნაკრებებთან შეხვედრებზე გვაქვს გადატანილი. სანამ მინიმალური შანსი გვექნება წარმატებისა, ვიბრძოლებთ და ვეცდებით მიზნის მიღწევას.

— თავიდან ხორვატები დომინირებდნენ. ამას რითი ახსნით?

— დებიუტშივე პენალტით გაშვებულმა გოლმა დაგვაბნია. ხორვატები ბევრს გვიტევდნენ და პრესინგს მიმართავდნენ. 25 წუთის მერე ინიციატივა უკვე ჩვენ ვიგდეთ ხელთ. პირველივე ტაიმში შეგვეძლო გათანაბრება.

— თქვენს კარში დანიშნულ პენალტზე რას იტყვით?

— ხორვატთა ფორვარდმა ივიცა ოლიჩმა ძალიან ჭკვიანურად და ეშმაკურად ითამაშა. მან ფეხი წინ გაწია, რამაც ემანუელ პოგატეცთან კონტაქტი და პენალტი გამოიწვია. სხვათა შორის, მეორე ტაიმის ერთ ეპიზოდში ხელით თამაშს ჰქონდა ადგილი და მსაჯს თავისუფლად შეეძლო, პენალტი მეტოქის კარშიც დაენიშნა, მაგრამ ეს არ გააკეთა.

— მატჩამდე თბილად მიესალმეთ თქვენს თანაკლუბელსა და ხორვატიის ნაკრების მეკარეს სტიპე პლეტიკოშას, მაგრამ ის თქვენი მეტოქე გახლდათ...

— დიახ, მეტოქეები ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს წარმატება ვუსურვეთ. მატჩის დასრულების შემდეგაც ცოტა ვილაპარაკეთ. სტიპემ მშვენივრად ითამაშა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დასახელეს. მან მითხრა, რომ ბრწყინვალედ ვითამაშეთ, უბრალოდ, არ გაგვიმართლა.

თურქთა ტრავმები

გიოქჰან ზანი (№4) სიმაუს კი ეუხეშა, მაგრამ თავად დაიმტვრა

თურქეთის ნაკრების ცენტრალურ მცველს, გიოქჰან ზანს მყესები დაუზიანდა და მეორე ტურის შეხვედრაში შვეიცარიის წინააღმდეგ ვეღარ ითამაშებს.

გიოქჰანმა ფეხი შაბათს, პორტუგალიასთან 0:2 წაგებულ თამაშში იტკინა, თუმცა თავიდან მისი ტრავმა მაინცდამაინც საშიში არ ჩანდა, მეორე დღეს გადაღებულმა რენტგენმა კი უფრო რთული ვითარება აჩვენა.

ერთი სიტყვით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გიოქჰანი ოთხშაბათს მოედანზე ვერ გავა, ასე რომ, თურქი ექიმები ახლა მისი კვირისთვის გამოჯანმრთელებას ლამობენ. კვირას თურქთა ეროვნული გუნდი ჩეხეთს ეთამაშება.

სხვათა შორის, გუნდის პრეს-მდივნის განცხადებით, მცირე ტრავმა აქვს დაცვის ცენტრში გიოქჰანის მეწყვილეს, სერვეთ ჩეთინს, რომელმაც, შესაძლოა, პარტნიორის დარად ვერ ითამაშოს შვეიცარიის წინააღმდეგ, თუმცა მისი დროული გამოჯანმრთელება გამორიცხული სულაც არ არის. სერვეთს პორტუგალიასთან კბილიც მოუტეხია.

პაპუნა კედია

euro_fan_2008@yahoo.com

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

MEKO: გამარჯობა. წავიკითხე „სარბიელში", ინტერვიუ რომ იყო „შუა ქალაქის" ირაკლისთან და მაგრა გამიხარდა, ჰოლანდიის ნაკრების გულშემატკივარი რომ ყოფილა, იმიტომ, რომ მეც მაგათი ფანი ვარ. ოღონდ „ბარსელონას" არ ვგულშემატკივრობ. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ ეგეთ ხალხთან კიდევ გააკეთებთ ინტერვიუს და გვეცოდინება, ვინ ვისი ფანია. ძალიან საინტერესო იქნება.

ახლა, რაც შეეხება დღევანდელ თამაშს იტალიასთან. მგონია, რომ ჰოლანდია მოიგებს, ოღონდ მარტო იმიტომ არა, რომ ვგულშემატკივრობ. პირველ რიგში იმიტომ, რომ იტალია ყოველთვის ცუდად იწყებს ჯგუფს, თან კაპიტანი დაემტვრათ. მოკლედ, იმედი მაქვს და ღამე გამოჩნდება, გამიმართლა თუ არა.

ZURABA: მოგესალმებით „სარბიელს"! იმედია, ამ წერილს ხალხს შორის შუღლის გაღვივებაში არ ჩამითვლით, მაგრამ ერთი კითხვა მაქვს. ხომ არ იცით, ამ ევროპის ჩემპიონატზე ვის მხარეს არიან ინგლისის ფანები? ერთი იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ხორვატიის მხარეს არა. ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთის გასვლა უფრო გამიხარდა.

მე გერმანიას ვგულშემატკივრობ და გუშინდელი თამაშით კმაყოფილი ვარ. თქვენ?

TAMAZI: გამარჯობა. მე თქვენი სტაჟიანი მკითხველი ვარ და ყოველთვის მომწონდა და მომწონს ის, რომ ყველასგან გამორჩეული ხელწერა გაქვთ. მაგალითად, ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წარდგენისას სიამოვნებით და პირველ რიგში ვკითხულობდი ირაკლი ფიროაშვილის რუბრიკას „არის ასეთი ქვეყანა". ასეთი სტატიები აშკარად უფრო საინტერესოს ხდის გაზეთს. გმადლობთ.

zizi-top: იმედი მაქვს, დარწმუნდით, რომ მართალი ვიყავი!!! Deutcshland uber alles!!! გაათავისუფლეთ გზა: ევროპის ახალი ჩემპიონი მოდის!

P.S. ერთი განმარტებაც გერმანიის ნაკრებში პოლონური ფევსების მაძიებელთათვის: მიროსლავ კლოზეს მამა გერმანელია, დედა — პოლონელი; ლუკაშ პოდოლსკის მამა პოლონელია, დედა — გერმანელი; ტიმ ბოროვსკის მამა პოლონელია, დედა — გერმანელი.

მგონი, აღარ ღირს ამ თემით სპეკულირება, არა? ეს ბიჭები არიან ნახევარად გერმანელები და ნახევრად პოლონელები და არა პოლონელები!!!

მორჩა!!!

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი. დღეს

„ტივოლი ნოი“. ინსბრუკი

ესპანეთი — რუსეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ესპანეთი: კასილიასი; რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილა; ხავი, ფაბრეგასი, სენა, სილვა; ვილია, ტორესი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

რუსეთი: აკინფეევი; ანიუკოვი, კოლოდინი, შიროკოვი, ჟირკოვი; სმშოვი, სემაკი, ზირიანოვი; ბილიალეტდინოვი, სიჩოვი; პავლიუჩენკო

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

რატომ უნდა გასულელდეს ჰიდინკი?

რუსთა თავკაცი გუს ჰიდინკი ამბობს, ესპანელები ვერაფერს გამოშაპარებენ, პერუსა და აშშ-სთან მათი უფერული მოგებები ვერ გამასულელებს, არ მოვტყუვდებიო.

„კარგად ვიცი, რა დონის გუნდთან მოგვიწევს თამაში. ვიყოთ რეალისტები, ესპანეთი ფავორიტია, მათ ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავთ და დიდი გამოცდილება გააჩნიათ, თუმც არ გვეშინია“ — თქვა ჰოლანდელმა სპეციალისტმა, რომელმაც დიდ ტურნირებზე ერთხელ უკვე გაამწარა იბერიელები: 2002 წლის მუნდიალზე ჰიდინკის გაწვრთნილმა კორეამ მეოთხედფინალში პენალტებით სძლია ხოსე ანტონიო კამაჩოს ესპანეთს, თუმც როგორ სძლია, ახლაც თვალწინ უდგას ბევრ ქომაგს — „უნიკალური“ მსაჯობით...

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ბანაკში ყველაფერი იდეალურად ვერაა, რაკიღა „ზენიტის“ ფორვარდი პაველ პოგრებნიაკი ტრავმის გამო შინ დაბრუნდა, ხოლო ანდრეი არშავინი დისკვალიფიკაციის გამო ორ მატჩს გამოტოვებს. ჰიდინკს ცენტრფორვარდის პოზიციაზე დმიტრი პავლიუჩენკოს ალტერნატივა არც ჰყავს, რაკიღა სპარტაკელი სხვა თანამემამულეებს ერთი თავით სჯობია, ფლანგებიდან კი მას მოსკოვის „ლოკომოტივის“ შემტევები, დინიარ ბილიალეტდინოვი და დმიტრი სიჩოვი მიეხმარებიან. სავარაუოდ, ჰიდინკი 4-5-1 სქემას არ შეცვლის — ეს ესპანელებთან, თორემ შვედეთსა და საბერძნეთთან, შესაძლოა, უფრო შემტევი ტაქტიკით ითამაშოს.

„რუსეთი, ალბათ, მობილურ ნახევარდაცვას დაგვახვედრებს, სადაც ფეხბურთელი აქტიურად ითამაშებს ართმევაზე. მათ ორი სწრაფი ვინგერი ჰყავთ, მათთან სიფრთხილე გვმართებს. საერთოდ, რუსეთის ნაკრები მომწონს, საკმარისად ძლიერია“ — ამბობს 69 წლის არაგონესი.

ესპანელთა „ბებერი“ კარგ ხასიათზეა, რაკიღა „ვალენსიას“ ბომბარდირმა დავიდ ვილიამ ბარძაყის ტრავმა მოირჩინა და მარტო მოირჩინა? ვილიამ ნაკრების ორმხრივ მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა.

„ვილია ითამაშებს. ჩვენ გვყავს ვილია-ტორესის წყვილი, რომელიც სწრაფი და ტექნიკურია. ესპანეთის ნაკრებმა ძალიან უნდა მოინდომოს, რომ გოლი ვერ გაიტანოს, ამასთან, შესამჩნევად გავუმჯობესეთ დაცვაში თამაში. იტალიის დარი დაცვა არ გვყავს და ალბათ, კარგახანს არც გვეყოლება, მაგრამ ფაქტია, ამ ასპექტში პროგრესია. დაცვაც რომ არა, ჩვენ ყველა ხაზში მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს“ — იმედიანადაა არაგონესი.

„არსენალის“ ვარსკვლავი სესკ ფაბრეგასი ამბობს, სასტარტო მატჩი ყოველთვის ბევრს ნიშნავს და გამოჩნდება, რამდენად სერიოზულია ჩვენი ამბიციებიო. სესკი თუ ისე ღონივრად ითამაშებს ევრო-2008-ზე, როგორც ამას „არსენალში“ აკეთებს, ესპანეთს ნახევარდაცვაში აწყობილი ექნება საქმე, მაგრამ ბევრი შიშობს (მათ შორის, არაგონესიც), ნაკრებში თითქოს ისეთი ეფექტური ვერ არისო.

ესპანეთი — საბჭოთა კავშირი ერთმანეთს ბევრჯერ გადაჰყრიან და მეტი არაა ჩვენი მტერი, საბჭოეთის ნაკრების წარმატებები რუსეთს ჩავუთვალოთ... აი, ესპანეთი — რუსეთი კი დიდ ტურნირზე ერთხელ შეხვედრიან: წინა ევროპის ჩემპიონატზე, მაშინაც პირველი ტურის მატჩი იყო და სამხრეთელებმა ხუან კარლოს ვალერონის გოლით 1:0 მოიგეს. ჰო, რუსეთს ოთხჯერ უთამაშია დიდ ტურნირზე და მუდმივად ჯგუფში რჩებოდა.

ახლა კი, ნახეთ, რა ორიგინალურ პროგნოზს გვთავაზობს ხორვატიის ნაკრების ფორვარდი ივიცა ოლიჩი: „რუსეთი მინიმალური ანგარიშით მოიგებს“.

ოლიჩი კარგახანს რუსულ ცსკაში თამაშობდა და ვეჭვობთ, ყოფილ თანაკლუბელებს „მოეფერა“...

ილია ნანოგაშვილი

შვედები დაიმალნენ

ლაგერბაკმა იბრაჰიმოვიჩს მეოცლებთან მადლობა დააბარა

„ვალს-ზიცენჰაიმი“, ზალცბურგი

საბერძნეთი — შვედეთი

სავარაუდო შემადგენლობები

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი; სეიტარიდისი, კირიაკოსი, დელასი, ტოროსიდისი; კარაგუნისი, ბასინასი, კაცურანისი, ამანატიდისი; ხარისტეასი, გეკასი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

შვედეთი: ისაკსონი; ნილსონი, მელბერგი, ჰანსონი, სტოორი; ვილჰელმსონი, ლინდეროტი, კალსტრიომი, ლიუნგბერგი; ელმანდერი, იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი

მსაჯი: მასიმო ბუზაკა (შვეიცარია)

ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი ტიტულის დაცვას შვედებთან მატჩით დაიწყებს, რომელთანაც მხოლოდ ერთხელ, 1920 წლის ოლიმპიადაზე წააგო. მაშინ სკანდინავიელებმა გაილაღეს და მეტოქე 9:0 დაამარცხეს.

მერე ბერძნებმაც ისწავლეს ფეხბურთის თამაში და მომდევნო ხუთ შეხვედრიდან შვედებს ორჯერ სძლიეს და სამჯერ დაუზავდნენ.

ხუთივე მატჩი ამხანაგური იყო და ეს გუნდები დიდ ტურნირზე დღეს პირველად ხვდებიან ერთმანეთს.

ელინები იმედოვნებენ, რომ ისევე, როგორც ოთხი წლის წინ პორტუგალიაში, ჩემპიონატს ამჯერადაც გამარჯვებით დაიწყებენ.

ევრო 2004 ბერძნებმა ისე მოიგეს, რომ ბოლო ოთხ მატჩში 358 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვიათ და საინტერესოა, შეძლებენ თუ არა შვედები მათი კარის შეღებას.

ოტო რეჰაგელმა 4-4-2 ტაქტიკა, შესაძლოა, 4-3-3-ით შეცვალოს და სამი შემტევით ითამაშოს — ხარისტეასი-გეკასი-ამანატიდისი, რადგან ამან შესარჩევში გაამართლა. 12 მატჩში გუნდმა 25 გოლი შეაგდო — გაცილებით მეტი, ვიდრე ევრო 2004-ის საკვალიფიკაციოში.

„გოლების გატანა მინდა, მაგრამ ნაკრების გამარჯვება და პირველი მატჩის მოგება უფრო მთავარია — თქვა ხარისტეასმა — ჩვენ და შვედები სათამაშო ყაიდით ვგავართ ერთმანეთს. ტაქტიკურად ორივე გუნდი გამართულია, ფერხბურთელები კი ფიზიკურად ძლიერები და სწრაფები არიან“.

მეკარე კონსტანტინოს ხალკიასი: „ბერძენი ხალხი ოთხი წლის წინ ჩვენით ამაყობდა და გვსურს, ამჯერადაც გავახაროთ. შვედებთან მატჩი რთული იქნება და ვიმედოვნებ, რომ ამ შეხვედრისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ.

აუცილებელია ტურნირის გამარჯვებით დაწყება. რაც შეეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩს და ჰენრიკ ლარსონს, თუ მათ დავუწყებთ დევნას, სხვა ვინმე გაგვეპარება, რადგან შვედებს ბევრი შემსრულებელი ჰყავთ. ჩვენი სიძლიერე დაცვაშია. მაღალი, ღონიერი და ტექნიკური მცველები გვყავს და ვიმედოვნებ, რომ ისინი საქმეს უმაღლეს დონეზე შეასრულებენ“.

ბერძნები ტრავმებს არ უჩივიან და ყველა ფეხბურთელი ჯანზეა. გეორგიოს კარაგუნისს ნატკენი მუხლი დაუამდა და პარასკევას ანცასი და ანტონის ნიკოპოლიდისიც გამოკეთდნენ.

შვედებმა კვირას დახურული ვარჯიში გამართეს და ძირითადად სტანდარტულებზე იმუშავეს. „ჩვენ გვაქვს დამუშავებული რამდენიმე ვარიანტი და არ მინდა, ვინმემ ნახოს. საბერძნეთი ძალიან კარგი გუნდია — განაცხდა ლარს ლაგერბაკმა — შესარჩევშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ნებისმიერი მატჩი აქ ფინალის ტოლია და ჭკვიანური, ფრთხილი თამაში გვმართებს. ბერძნებს დისციპლინირებული და ტაქტიკურად განსწავლული ნაკრები ჰყავთ“.

ლუგანოში ვარჯიშის შემდეგ ლაგერბაკმა თქვა, რომ სამშაბათამდე თუ არავინ დაშავდა, ბერძნებთან სათამაშო თერთმეტეული უკვე შერჩეული მყავსო. ამასთან, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, შესაძლოა, მოედანზე 90 წუთი ვერ დაჰყოს, რადგან გაზაფხულზე მიღებული ტრავმა კვლავ აწუხებს.

„მუხლი მთლად მორჩენილი არაა, მაგრამ თამაში შემიძლია. არ ვიცი, დამტოვებენ თუ არა ბერძნებთან შეხვედრის ბოლომდე — ბრძანა „იბრამ“ — მეტოქეს ღონიერი მცველები ჰყავს. მაგალითად, ტრაიანოს დელასის წინააღმდეგ მითამაშია. მძიმე მატჩი გველის და ალბათ, ორივე გუნდი იფრთხილებს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გაიტანს პირველ გოლს“.

ლარს ლაგერბეკი: „იბრაჰიმოვიჩმა თითქმის ყველა ვარჯიშში მონაწილეობა მიიღო და აუცილებლად იქნება ძირითად შემადგენლობაში. ზლატანი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და ეშობლებს უნდა უმადლოდეს, ასეთი რომ გამოვიდა. არა მგონია, ოტო რეჰაგელმა მას პერსონალური მეურვე მიუჩინოს. თუ ასე გადაწყვეტს, ჩვენთვის უკეთესია, რადგან სხვა შემტევებს მეტი სივრცე დარჩებათ.

ვაჟა ხუციშვილი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

C ჯგუფი

№5 რუმინეთი 0:0 საფრანგეთი

9 ივნისი, ციურიხი (შვეიცარია), „ლეციგრუნდი“, 30 585 მაყურებელი



შეცვლა: ჯოჩიში – 8. ჯოდრეა (64), ანელკა – 18. გომისი (72), მუტუ – 18. მ. ნიკულაე (78), ბენზემა – 11. ნასრი (78), რედოი – 20. დიკა (90)

გაფრთხილება: დ. ნიკულაე (27), ჯონტრა (40), გოიანი (43), სანიოლი (51)

მსაჯები: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი); ხუან ხიმენესი (ესპანეთი), ხესუს გუადამურო (ესპანეთი)

17	ჯარიმა	22
3	კუთხური	3
4	ჯარისკენ დარტყმა	8
0	ჯარში დარტყმა	1
1	თამაშგარე	1
29,46 წთ	ბურთის ფლობა	35,8 წთ
45%	ბურთის ფლობა	55%

ვინ რა თქვა

რაიმონ დომენეკი: „ეს ჯგუფის პირველი მატჩი იყო და სამწუხაროდ, ვნერვიულობდით, საკუთარ თავშიც ბოლომდე დარწმუნებულები არ ვიყავით. ჯგუფიც ძალიან რთულია და არავის ეგონოს, რომ რუმინეთი ვინმეს რამეს იოლად დაუთმობს.

ამ ფრის მერე ისეთი ვითარება შეგვექმნა, რომ ყოველი მომდევნო მატჩი ფინალივით იქნება, ალბათ, მეტისმეტადაც ვფრთხილობდით, რამაც ჩვენს იერიშებს სიმწვავე მოაკლო.

შანსები? მოდით, ასე ვიტყვი: მე არც პესიმისტი ვარ და არც ოპტიმისტი.

კარგი რაც იყო ამ მატჩში, გრეგორი კუპეს საქმეში ჩართვა არ დასჭირვებია.

ვიქტორ პიცურკა: „პირადად მე სამი ქულის აღება მინდოდა და ჩვენი მიზანიც ეს იყო. თუმც საბოლოო ანგარიში, ვფიქრობ, სამართლიანია.

მატჩის მსვლელობისას ერიკ აბიდალმა 18 პასი მისცა ფლორან მალუდას, ხოლო კლოდ მაკელელემ იმავ მალუდას 16 პასი გაუკეთა. ჯამში 1017 პასი გაკეთდა, რომელთა 76 პროცენტი ადრესატს ჩაბარდა. მაკელელემ 15 პასი ჟერემი ტულალანსაც მისცა.

ოფსაიდში თითო-თითოჯერ ჩარჩნენ დანიელ ნიკულაე და ნიკოლა ანელკა.

ყველაზე მეტჯერ რუმინელთაგან ბანელ ნიკოლიტას და დანიელ ნიკულაეს (5-5) ეუხეშნენ, ფრანგთაგან კი ფრანკ რიბერის (4).

ყველაზე უხეში კლოდ მაკელელე გახლდათ — 5-ჯერ დაჯარიმდა კარისკენ ყველაზე მეტჯერ კი ნიკოლა ანელკამ (3) დაარტყა.

ლილიან ტურამმა (№15) ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მე-15 მატჩი ჩაატარა

ციურიხში მამალმა ვეღარ დაიყივლა

ესეც სიკვდილის ჯგუფი! თუმც ვის მოხვდა ტყვიასავით, საკითხავია...

პროგნოზებით თუ ვიმსჯელებთ, ფრანგები სამქულიანები უნდა წასულიყვნენ, ფავორიტებად ითვლებოდნენ და მეტოქე სათამაშო კლასითაც უნდა დაეჯაბნათ...

...თამაშით ერთი ქულა რუმინეთს ეკუთვნოდა, ვიქტორ პიცურკას ბიჭები შეტევისთვის აშკარად ვერ იცლიდნენ, მათი საზრუნავი კარის უსაფრთხოება იყო და კარგადაც დაიცვეს...

ფრანგთა თავკაცმა რაიმონ დომენეკმა შემტევებს, ნიკოლა ანელკასა და ქარიმ ბენზემას სერიოზული ნახევარდაცვა „შეასია“, რითიც თავდამსხმელებს საქმე უნდა გაოლებოდათ, თუმცა რუმინელებს თავის დაცვა დიდად არ გასჭირვებიათ.

აღმოსავლეთევროპელებს მეტოქის სახელი აფრთხობდათ, თუ გვარები, ვერ გეტყვით. ერთია, შეტევისთვის ხეირიანად ვერ მოიცალეს, არადა, საკვალიფიკაციო ტურნირი ისე გალიეს, რუმინელები მეტზეც უნდა „იქაჩებოდნენ“...

...„გაქაჩვის“ რა მოგახსენოთ, მაგრამ გუშინდელ მატჩში რუმინელებმა მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს — ჟერემი ტულალანი და კლოდ მაკელელე ცენტრს ისე ამაგრებდნენ, რუმინელებს არანაირი შანსი არ მისცემიათ...

...თავის მხრივ, ფრანგები გოლის გამშვებს ხომ არ ჰგავდნენ (გამოცდილი დაცვა, საიმედო საყრდენები და ფლანგებზე მოიერიშეები) და მეტოქის ძლევაც არ უნდა გასჭირვებოდათ.

რიბერი — თითქოს ამ ფეხბურთელს საკუთარ თავზე უნდა აეღო ყველაფერი, მაგრამ არ გამოუვიდა და დომენეკმა კიდევ ერთი შემტევი ნახევარმცველი, სამირ ნასრი იხმო, რასაც ბაფეტიმბი გომისი მიაყოლა, მაგრამ რუმინელების მობილურ დაცვას ვერაფერი მოუხერხა.

თავის მხრივ, რუმინელებსაც ჰყავდათ ლიდერი — კრისტიან კივუ, რომელიც კოზმინ კოტრასთან ერთად ცდილობდა, მის გუნდს „მსხვერპლის“ იმიჯი არ შექმნოდა და 90 წუთის განმავლობაში მოახერხა კიდეც...

რუმინელების ამოცანა მარტივი იყო, აკი განაცხადეს კიდეც ჩემპიონატის წინ, 4 ქულა ჩვენთვის მაქსიმუმიაო, მაგრამ...

...„სიკვდილის ჯგუფი“ ვახსენეთ და ამ ჯგუფიდან პლეი ოფში ვინ გავა, ჯერაც საკითხავია...

პირველი მატჩებია და არ გვინდა ზედმეტი კრიტიკა რომელიმე გუნდის მიმართ, თუმც ფრანგები ასეთი თამაშით შორს ვერ წავლენ, რუმინელები კი ყველაფერზე „ხელისმომწერნი“ ჩანან... ფავორიტებთან ქულები მათი წისქვილისაა, „მამლებისთვის“ კი წიწილები შემოდგომამდე დაითვლება...

შანსები ჯერ კიდევ ორივე გუნდს დარჩა, რამდენი და როგორ, ბოლო ორი ტურის საკითხავია...

ერთიც, ლილიან ტურამი პირველი ფეხბურთელი გახდა, ვისაც ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე 15 მატჩი მოუგროვდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

რუმინელებმა ფრანკ რიბერი საიმედოდ ამოკეტეს

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

C ჯგუფი

№6 ჰოლანდია 3:0 იტალია

9 ივნისი. ბერნი (შვეიცარია). „სტად დე სუისი". 38 777 მაყურებელი

1:0 ვან ნისტელროი (26), 2:0 სნეიდერი (31), 3:0 ვან ბრონკჰორსტი (79)



შეცვლა: მატერაცი – 3. გროსო (54), დი ნატალე – 7. დელ პიერო (64), ვან ნისტელროი – 7. ვან პერსი (70), კამორანეზი – 18. კასანო (75), ბულარუზი – 3. ჰეიტინგა (77), კუიტი – 20. აფელაი (81)

გაფრთხილება: ტონი (27), ძამბროტა (35), გატუზო (51), დე იონგი (58)

მსაჯები: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი); სტეფან ვიბერგი (შვედეთი), ჰენრიკ ანდრენი (შვედეთი)

19	ჯარიმა	10
3	კუთხური	5
4	კარისკენ დარტყმა	11
9	კარში დარტყმა	5
4	თამაშგარე	3
28,30 წთ	ბურთის ფლობა	27,47 წთ
50%	ბურთის ფლობა	50%

უესლი სნეიდერის საგოლე დარტყმა

ფორცა ჰოლანდია!

მსოფლიოს ჩემპიონმა სამბურთიანი სხვაობით წააგო და ჯგუფში ბოლო ადგილზეა.

სალაპარაკო და გასარჩევიც გაჩნდა. ისეთი თამაში არ ყოფილა, რომ გვერდით მსაჯს ჩასძინებოდა და გაუგებარია, როგორ ვერ დაინახა ლაინსმენმა აშკარა თამაშგარედან ვან ნისტელროის გატანილი გოლი.

თვითონ გამტანიც კი მიხვდა, ოფსაიდში რომ იყო და კარგა ხანი თავს იბრუნებდა გვერდითი მსაჯისკენ. წინ გამოშვერილი ალამი ვერ იხილა და გაიხარა.

რაღა თქმა უნდა, ამ ამბავს დიდი რიარია მოჰყვება იტალიურ მედიაში, მაგრამ ისეთებიც გამოჩნდებიან, ვან ნისტელროიდან დონადონიზე რომ გადავლენ და წაგებას არასწორ ტაქტიკას ან ცუდად შერჩეულ შემადგენლობას რომ დააბრალებენ.

მაგრამ ეს იტალიელთა შინაური საქმეა და ჩვენ ის ვთქვათ, რომ ჰოლანდიამ „სკუადრა აძურა" 1978 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა.

ეს იყო ამ ჩემპიონატზე პირველი მოგება სამბურთიანი სხვაობით, ხოლო ტრადიაცია — ვინც პირველი გაიტანს, ის იგებს — გრძელდება.

რობერტო დონადონიმ სწორედ იმ ტაქტიკით (4-3-3) ათამაშა გუნდი, რომლითაც ბოლო ამხანაგურ მატჩში ბელგია 3:1 დაამარცხა.

ნახავარდაცვაში მარჯვნიდან მარცხნივ ამბროზინი, პირლო და გატუზო იყვნენ, წინ კი კამორანეზი, ტონი და დი ნატალე.

ამათ მარცხენა მცველი ძამბროტა ისე ეხმარებოდა შეტევაში, რომ მეტოქის ნახევარზე უფრო უფრო მეტი დრო გაატარა, ვიდრე საკუთარზე.

გატუზო და პირლო ჩანდნენ მოედანზე, მაგრამ ამბროზინისა რა მოგეხსენოთ.

ვერც კამორანეზიმ იყოჩაღა, ხოლო ტონის და დი ნატალეს კი გასატანი ჰქონდათ.

დონადონის მილანელმა თანაგუნდელმა ვან ბასტენმა ოთხ მცველს წინ ორი საყრდენი დაუყენა, სამი შემტევი ნახევარმცველი და ერთი წლის წინ შემორიგებული ვან ნისტელროი, რომელიც მწვრთნელთან უბრად იყო მსოფლიოს (2006) ჩემპიონატის შემდეგ.

ეს ტაქტიკური რახარუხი არაფერია იმასთან შედარებით, რაც 33 წლის ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა ამ მატჩში ჩაიდინა.

ამის შემყურეს უმალ ის ქართველი მოთამაშეები გამახსენდნენ, რომლებიც ზოგჯერ ნაკრებში გამოუძახებლობის გამო წუწუნებენ. ერთხელ მაინც შეძლოს მსგავსი რამ რომელიმე მოწუწუნემ და...

ანდრეა პირლომ კუთხური ჩააწოდა, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა ბურთი კარის ხაზზე მოიგერია და ამისთვის ჩინ-მედლები კი არ მოითხოვა, ბურთი თანაგუნდელს გაუთამაშა, მარცხენა ფლანგზე ნახევარ მოედანზე მეტი გადაირბინა, ლამის ორმოცდაათმეტრიანი ზუსტი პასი მიაწოდა კუიტს, რომელმაც სნეიდერს დაუგდო და იუბილარმა იუველირული სიზუსტით დაარტყა — 2:0.

გუშინ უესლი სნეიდერს 24 წელი შუსრულდა და მსოფლიოს ჩემპიონთა კარში გატანილ გოლზე უკეთეს საჩუქარს ალბათ ვერც ინატრებდა.

ეს იყო მეორე გოლი იტალიელთა კარში, უცნაური კი ისაა, რომ „სკუადრა აძურამ" ორი გოლი ხუთ წუთში გაუშვა და რამდენი ნაკრები დაიტრაბახებს, იტალიისთვის ხუთ წუთში ორი გაგვიტანიაო?

მაგრამ ორზე გაჩერდნენ განა? რა ფეხზე იყო ამდგარი ვან ბრონკჰორსტი, ერთი ფოკუსი მეორე ტაიმში კიდევ გააკეთა, არ დაიზარა იტალიელთა საჯარიმოში ჩარბენა და კონტრშეტევისას თავით გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

ვინ რა თქვა

მარკო ვან ბასტენი: „იტალია უაღრესად გამოცდილი გუნდია და ამიტომ ასეთი ანგარიშით მოგებას ნამდვილად არ ველოდით".

რობერტო დონადონი: „ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მწვრთნელობისას ეს იტალიის უცუდესი მატჩი იყო. მართალია, ცუდად დავიწყეთ, მაგრამ წინ ვიყურებით და ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია.

ახლა აღარც ღირს იმ თამაშგარეზე ლაპარაკი. დიახ, მგონია, რომ მსაჯი შეცდა, მაგრამ ისიც ადამიანია".

თამაშგარე მდგომარეობაში ორ-ორჯერ ჩარჩნენ რობინ ვან პერსი და ალესანდრო დელ პიერო. მეტოქე სხვებზე მეტჯერ ანდრეა პირლოს ეუხეშა (4), ხოლო ყველაზე უხეშნი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და რაფაელ ვან დერ ვაარტი იყვნენ.

მთლიანობაში ყველაზე მეტი პასი (69) ანდრეა პირლომ გასცა. ყველაზე მეტი მოკლე პასი ჯენარო გატუზოსი იყო (18), საშუალო — ორლანდო ენგელაარის (40), ხოლო გრძელი — ალბათ, არ გაგიკვირდებათ და, ჰოლანდიელთა მეკარის ედვინ ვან დერ სარის.

რობერტო დონადონი

ლუკა ტონი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge